პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 210 (9678) | შაბათი, 5 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
მშვიდობა დაამარცხებს ომს! (მე-2 გვერდი).
პარტიულ თემაზე. — კ. სიხარულიძე. — რაიკომი და საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).
აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
აქტივისა და მკითხველთა კრება (მე-2 გვერდი).
საკდესის განცხადება (მე-2 გვერდი).
საბჭოთა ქორეოგრაფიის ტრიუმფი. — ე. რამიშვილი, ი. სუხიშვილი. — მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაულზე. ბუქარესტში, ფესტივალზე. მეგობართა შთაბეჭდილებანი (მე-3 გვერდი).
ლ. ბეზიმენსკი. — ფაშიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

## დაუღალავად ვიზრუნოთ მშრომელთა კეთილდღეობისათვის

ადამიანთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა, მათი კულტურული და მატერიალური დონის შემდგომი ამაღლება საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის დედაარსია. პარტიისა და მთავრობის ყოველი ახალი ღონისძიება, ყოველი მორიგი გადაწყვეტილება მიმართულია ჩვენი ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისაკენ.

ადამიანებისადმი დიდი ზრუნვით არის გამსჭვალული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი და ამ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა. ამ დოკუმენტებში მკაფიოდ გამოხატულია საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომლის მიზანია სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მკაფიო გამომხატველია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებებში სამუშაო დღის რეჟიმის შესახებ. ამ დადგენილების განხორციელება უზრუნველყოფს საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის საბჭოთა მუშაკების კულტურული და პოლიტიკური ზრდისათვის, საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საშუალებას აძლევს მათ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ თავის ოჯახებს, შვილების აღზრდას.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უფრო სწრაფი ამაღლების ყველა პირობა შექმნა სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებულმა უდიდესმა წარმატებებმა. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ ორი-სამი წლის მანძილზე მკვეთრად ამაღლდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა კარგად გამოიყენონ მშრომელთა კეთილდღეობისათვის ჩვენში შექმნილი უმდიდრესი პირობები, უკეთესად იმუშაონ მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება, საბჭოთა ვაჭრობის ფართოდ გაშლა, საბინაო მშენებლობის გაუმჯობესება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მუშაობენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

სწორედ ამის შედეგია, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები ცუდად მუშაობენ, ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკაში ვერ შეასრულა 250 საწარმომ, მათ შორის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის 137 საწარმომ და სარეწაო კოოპერაციის 77 საწარმომ.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას უთმობენ იმ საწარმოებს, რომლებიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებენ, იშვიათად განიხილავენ მათი მუშაობის საკითხებს, გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. არადამაკმაყოფილებელია პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრგან სავაჭრო მაღაზიაში საქონელი ჩაწოლილია, არ იყიდება. მაგალითად, მომხმარებელი გვერდს უვლის შეიძინოს თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მიერ გამოშვებული მამაკაცის ტყავისძირიანი ფეხსაცმელი (არტიკული № 4204), რადგან იგი უგემოვნოდ და უხარისხოდ არის შეკერილი. მარტო ქალაქ ქუთაისის სავაჭრო მაღაზიებში დიდი რაოდენობით აწყვია გაუსაღებელი ასეთი ფეხსაცმელი. მომხმარებელი ასევე ნაკლებად ეტანება საზაფხულო ასორტიმენტის ქსოვილებს, რადგან ისინი უგემოვნოდ არიან მოხატული.

საბჭოთა ადამიანის გემოვნება განუზომლად გაიზარდა, მისი კულტურა ამაღლდა. იგი მოითხოვს მაღალხარისხოვან, ლამაზ ქსოვილს, კოხტად შეკერილ ფეხსაცმელს. საწარმოებმა მათი ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ.

ჩვენი მრეწველობა, საწარმოები ბლომად ამზადებენ პირველი მოთხოვნილების ისეთ საქონელს, როგორიცაა საპონი, ასანთი, მარილი, ნავთი, მაგრამ იმის გამო, რომ სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებასა და საჭიროებას, არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი სოფლის, თვით რაიონის სავაჭრო ქსელში არ იშოვება პირველი მოხმარების ეს საქონელი.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს. სამწუხაროდ, ეს საწარმოები მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ ასრულებენ გეგმებს, ხოლო მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი დაბალია.

მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ისეთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრში, როგორიც არის ჭიათურა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები და სარეწაო კოოპერაციის არტელები რატომღაც არ ამზადებენ ფართო მოხმარების საქონელს, მაგრამ როცა დაამზადებენ, ძალზე დაბალი ხარისხისაა და მომხმარებელი არ ყიდულობს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, მართალია, ამ საწარმოთა მუშაობის საკითხებს განიხილავენ და არც თუ ცუდი დადგენილებანი გამოაქვთ, მაგრამ იმის გამო, რომ თანმიმდევრულად არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის, საწარმოთა მუშაობას გაუმჯობესება არ ეტყობა.

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს მათ საბინაო პირობებს. საბჭოთა მთავრობა საბინაო მშენებლობისათვის უამრავ სახსრებს იღებს, თუმცა ამ სახსრებს ყველგან გონივრულად ვერ იყენებენ. საბინაო მშენებლობა ბევრგან ჩამორჩება. რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის 1952 წლის გეგმა 90,7 პროცენტით შესრულდა, 1953 წლის პირველი ნახევრისა კი — 45,7 პროცენტით. ბევრი უწყება და ორგანიზაცია ვერ ითვისებს გამოყოფილ თანხებს. აღსანიშნავია, რომ ბევრგან საცხოვრებელი ბინები შენდება უხარისხოდ. არსებული საბინაო ფონდის მოვლა-შენახვასაც საჭირო ყურადღება არ ექცევა. საბინაო ფონდის მშენებლობის შეუფასებლობა დანაშაულია სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ და გავაფართოოთ პირველი მოხმარების საგნების წარმოება, სავაჭრო მაღაზიების, სასადილოების, აბანოების, ატელიების, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის, საოჯახო ნივთების შემკეთებელ სახელოსნოთა მუშაობა, გავაფართოოთ მათი ქსელი, აღმოვფხვრათ დაუდევრობა და უკულტურობა ამ საწარმოებისა და სახელოსნოების მუშაობაში. ყველაფერი, რაც მშრომელთა ცხოვრების უკეთესად მოწყობის საქმეს ემსახურება, მნიშვნელოვანია.

ჩვენი ქვეყანა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს ახორციელებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან აღზარდონ მასებში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისა და სამშობლოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, განუწყვეტლივ იზრუნონ იმისათვის, რომ ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობები, რაც კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ გამარჯვებათა მოპოვების საწინდარია.

## მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა მესამე ტომი

უცხოეთის ლიტერატურის გამომცემლობა მოსკოვში განაგრძობს რუსულ ენაზე მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემას. ეს გამოცემა წარმოადგენს მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა იმ ოთხტომიანი კრებულის სრულ თარგმანს, რომელიც ახლა პეკინში გამოდის ჩინურ ენაზე. კრებულში შეტანილია ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები.

წინათ გამოსულ ორ ტომში შეტანილია ის შრომები, რომლებიც ეკუთვნის პირველი და მეორე სამოქალაქო რევოლუციური ომის პერიოდებს, და იმ ნაწარმოებთა ნაწილი, რომლებიც დაწერილია იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პერიოდში.

ახლა გამოვიდა მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა მესამე ტომი. იქ შეტანილია შრომები, რომლებიც ეკუთვნის იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პერიოდს (1939-1941).

უცხოეთის ლიტერატურის გამომცემლობა დასაბეჭდად ამზადებს მაო ძე-დუნის რჩეულ ნაწარმოებთა მეოთხე ტომს (ჩინური გამოცემის მესამე ტომი), რომლის გამოცემაც ნავარაუდევია 1953 წლის დამლევისათვის. (საკდესი).

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მიწისქვეშა მუშათა, სამთო ოსტატთა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

#### ლენინის ორდენით

1. **ბუბაშვილი** არჩილ ისიდორეს-ძე, შახტის სამთო ოსტატი
2. **გვენეტაძე** პოლიკარპე ივანეს-ძე, სამშენებლო სამმართველოს ამფეთქებელი
3. **გვეტაძე** პოლიკარპე ვარდენის-ძე, შახტის მნგრეველი
4. **ქათამაძე** დავით ამბაკოს-ძე, შახტის მნგრეველი
5. **მესხორაძე** აპოლონ ანდრიას-ძე, შახტის მებიგე
6. **სუქნიძე** დავით სიმონის-ძე, შახტის მნგრეველი
7. **ფალკო** მიხეილ ვასილის-ძე, შახტის მებიგე
8. **შიშკინი** ანატოლი ივანეს-ძე, შახტის მებიგე

#### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აშხაცავა** დავით ბორისის-ძე, ტრესტის განყოფილების ინჟინერი
2. **ბაკურაძე** სამსონ ივანეს-ძე, შახტის მთავარი მექანიკოსი
3. **ბიჯბა** მიხეილ სახაის-ძე, შახტის მყორავი
4. **ვასილიდუ** თევდორე კონდრატეს-ძე, შახტის მნგრეველი
5. **ვოჟოვი** კონსტანტინე აბრამის-ძე, შახტის სამთო ოსტატი
6. **ჯაოშვილი** იოსებ დარისპანის-ძე, ტრესტის მიწისქვეშა ხანძრის ქრობის კანტორის უფროსი
7. **ქარქაშაძე** ვლადიმერ კაპიტონის-ძე, შახტის ტრანსპორტის უფროსი
8. **ლაზარევი** ილია დემიანის-ძე, შახტის ამფეთქებელი
9. **ნაჭყეპია** ფილიპე ფარნაოზის-ძე, ტრესტის მთავარი ინჟინერი
10. **პავლიტენკო** პავლე ილიას-ძე, შახტის გამყვანი
11. **სვიატუხი** გრიგოლ ივანეს-ძე, შახტის სამთო ოსტატი
12. **ტოლსტოშეევი** ნიკიფორე ვასილის-ძე, შახტის უფროსი დისპეტჩერი
13. **უსატენკო** ივანე სერგის-ძე, შახტის მიწისქვეშა ზეინკალი
14. **ხაჰაპურიძე** კონსტანტინე ივანეს-ძე, შახტის მნგრეველი
15. **ჩეკანოვი** გრიგოლ ექვთიმეს-ძე, შახტის გამყვანი
16. **შაპოვალოვი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე, შახტის მიწისქვეშა ტრანსპორტის უბნის უფროსი
17. **შენგელია** სერგი ზაქარიას-ძე, შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწე

#### მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ალიოხინი** ალექსი დანილას-ძე, შახტის მებიგე
2. **ბაბია** გრიგოლ ტიხონის-ძე, შახტის მებიგე
3. **ბაკურაძე** ამბროსი სილოვანის-ძე, შახტის მნგრეველი
4. **ვორონინი** დიმიტრი პეტრეს-ძე, შახტის ელექტროზეინკალი
5. **გვენეტაძე** შალვა ბესარიონის-ძე, შახტის მებიგე
6. **გოგიჩაიშვილი** ივანე ანდრიას-ძე, ტრესტის მმართველის მოადგილე
7. **გოროდნიჩევა** გალინა პავლეს ასული, შახტის მთავარი ინჟინრის თანაშემწე
8. **გოცირიძე** ილია ალექსანდრეს-ძე, შახტის ქვანახშირის მიწისქვეშა მტვირთავი
9. **დუბინინი** კარპე ივანეს-ძე, შახტის მებიგე
10. **ერემენკო** დავით ივანეს-ძე, შახტის სამთო ოსტატი
11. **ემაკინი** სერგი პროხორის-ძე, შახტის სამთო ოსტატი
12. **ქარქაშაძე** კაპიტონ ვასილის-ძე, შახტის გზის ოსტატი
13. **კატანენკო** ანდრია ალექსის-ძე, სამშენებლო სამმართველოს უმპ-1 მემანქანე
14. **კიკვაძე** მიხეილ ისიდორეს-ძე, შახტის უფროსი
15. **კუბლაშვილი** ვალერიან გიორგის-ძე, შახტის მებიგე
16. **კუბლაშვილი** დავით დიანოზის-ძე, შახტის მნგრეველი
17. **ლევინი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, შახტის მყორავი
18. **ლიზინი** ივანე ტიმოთეს-ძე, ტრესტის მთავარი ენერგეტიკოსი
19. **მაღლაკელიძე** ალექსანდრე გიორგის-ძე, ტრესტის მთავარი ინჟინერი
20. **ფარესიშვილი** ირაკლი ზურაბის-ძე, კომბინატის განყოფილების უფროსი
21. **სირბილაძე** ნილო ივანეს-ძე, შახტის ზეინკალი
22. **სოფრომაძე** სერგი ევსევის-ძე, შახტის მნგრეველი
23. **ტოფაძე** დავით ლავრენტის-ძე, შახტის სამთო ოსტატი
24. **ტრეტიაკოვი** ნიკოლოზ ივანეს-ძე, შახტის მნგრეველი
25. **ციცხვაია** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე, შახტის უფროსი
26. **შატოხა** კუზმა ტროფიმეს-ძე, შახტის საყელავი მანქანის მემანქანე

#### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **აბაკელია** პორფილე სიმონის-ძე, სამშენებლო სამმართველოს უფროსი
2. **აივაზიანი** პარუირ ერვანდის-ძე, შახტის გამყვანი
3. **ატმაჩიდი** დიმიტრი პანაეტის-ძე, შახტის მთავარი მარკშეიდერი
4. **ბაბაჯანი** არტემ ალექსანდრეს-ძე, ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის დირექტორი
5. **ბოცვაძე** რაჟდენ მარკოზის-ძე, შახტის მთავარი ინჟინერი
6. **ვანიუშკინი** ივანე ვასილის-ძე, შახტის გამყვანი
7. **ვარვარიძე** ირაკლი გიორგის-ძე, კომბინატის შრომის ორგანიზაციის, ტექნიკური დანორმვისა და ხელფასის განყოფილების ინჟინერი
8. **ვორობიოვა** ანა ნიკოლოზის ასული, შახტის ამფეთქებელი
9. **ვორონინი** ფილიპე დანილას-ძე, შახტის მებიგე
10. **გვენეტაძე** კონსტანტინე ბესარიონის-ძე, შახტის მთავარი ინჟინერი
11. **გელენავა** ტამშუკ ჯაგოს-ძე, სამშენებლო სამმართველოს გამყვანი
12. **გიჩევი** მიხეილ ვასილის-ძე, შახტის მყორავი
13. **გრიგორიანი** ხაჩიკ მანუკის-ძე, შახტის მნგრეველი
14. **დანილოვა** ალექსანდრა იაგორის ასული, შახტის ამფეთქებელი
15. **დარბინიანი** მანუკ მიქაელის-ძე, შახტის გამყვანი
16. **ჯანაშია** ხუტა ანდრიას-ძე, შახტის კომბაინის მემანქანე
17. **ჯაფარიძე** დემიან კუზმას-ძე, სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი
18. **დოლიძე** ავთანდილ ირაკლის-ძე, ტრესტის მმართველი
19. **ჟორჟოლაძე** პახომ დიმიტრის-ძე, შახტის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ათისთავი
20. **ყარაყირგიზიანი** სედრაკ მისაკის-ძე, შახტის მნგრეველი
21. **ქვარცხავა** რადიონ ერასტის-ძე, შახტის მებიგე
22. **ყიფიანი** ვლადიმერ ტარასის-ძე, სამშენებლო კანტორის უფროსი
23. **კურგანი** პავლე ეგნატეს-ძე, ტრესტის განყოფილების უფროსი
24. **ლედოვსკი** პეტრე იაკობის-ძე, შახტის ვენტილაციის ხურო
25. **მალიუჩენკო** თეკლე სიმონის ასული, გამაუხვებელი ფაბრიკის ქანის სისტემის მუშა
26. **მანუკიანი** ალვან მათევოსის-ძე, შახტის გამყვანი
27. **მანჩხაშვილი** ბაგრატ ნიკოლოზის-ძე, შახტის გამყვანი
28. **მეტრეველი** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე, სამმართველოს უფროსი
29. **მიქაშავიძე** გურგენ ივანეს-ძე, შახტის უფროსი
30. **მიკულა** ტატიანა სტეფანეს ასული, გამაუხვებელი ფაბრიკის მრეცხავი
31. **მოისწრაფიშვილი** ვახტანგ ნიკოლოზის-ძე, კომბინატის ინჟინერი
32. **მოსიაგინი** ივანე მიტროფანეს-ძე, შახტის სამთო ოსტატი
33. **ნაროუშვილი** შალვა ანტონის-ძე, შახტის მებიგე
34. **ნოდია** ავთანდილ ლევანის-ძე, შახტის გამყვანი
35. **ოხმაგი** ვლადიმერ ივანეს-ძე, შახტის კომბაინის მემანქანის თანაშემწე
36. **ფურცხვანიძე** მაქსიმე იაკობის-ძე, შახტის გზის ოსტატი
37. **პუშკარიოვი** სერგი ალექსის-ძე, შახტის ამწმენდი
38. **სავინი** ვასილ მათეს-ძე, შახტის გამყვანი
39. **სამოენკო** მარიამ იოსების ასული, შახტის ტრანსპორტიორის მემანქანე
40. **სარქისოვი** რუბენ გერასიმეს-ძე, კომბინატის განყოფილების უფროსი ინჟინერი
41. **სერბინი** ვალენტინ თევდორეს-ძე, სამმართველოს განყოფილების უფროსი ინჟინერი
42. **სერგიენკო** ვასილ იაკობის-ძე, შახტის გამყვანი
43. **სერენკოვი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე, სამშენებლო სამმართველოს გამყვანი
44. **სელეხოვი** პეტრე ივანეს-ძე, შახტის მებიგე
45. **სიმონიშვილი** მიხეილ ივანეს-ძე, შახტის უფროსი
46. **სოლოვიოვა** ლიდია სერგის ასული, შიდა საშახტო ტრანსპორტის უფროსი ინჟინერი
47. **ტაბატაძე** არდალიონ ილარიონის-ძე, შახტის გამყვანი
48. **ტოლსტოშეევი** ანდრია ვასილის-ძე, შახტის ამწმენდი
49. **ტუზურიძე** იაკობ პეტრეს-ძე, შახტის მებიგე
50. **ხოცანიანი** სერგი ხაჩატურის-ძე, შახტის მნგრეველი
51. **ცავა** არტემ ბადლოს-ძე, შახტის სამთო ოსტატი
52. **ცირეკიძე** ივანე სერაფიონის-ძე, შახტის ქვანახშირის მიწისქვეშა მტვირთავი
53. **იამანიძე** ილია ივანეს-ძე, შახტის მებიგე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**
მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 29 აგვისტო.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა გაფართოება

მიმდინარე წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა გურჯაანის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ყინულის ქარხანა, ავტომანქანების საბურავების, აკუმულატორების და შინების შემკეთებელი საამქროები.

სოფელ შრომაში მოეწყო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ელექტროწისქვილი, რომელიც ემსახურება შრომის, კალაურისა და სხვა მეზობელი სოფლების კოლმეურნეებსა და მოსახლეობას.

**ს. შაქარაშვილი.**

## ატელიე № 1

მიმდინარე წლის შვიდ თვეში თბილისის ატელიე № 1-მა 5.618 ათასი მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.020 ათასი მანეთისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ამხანაგ მალენკოვის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ კიდევ უფრო დარაზმა მკერავთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი შეკვეთების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ფართოდ არის ცნობილი ამ ატელიეს პროდუქციის მაღალი ხარისხი. ცნობილი ოსტატები ბ. ურმანი, მ. პოლოსოვი, მ. ლებანიძე, ნ. ჟვანია და სხვები გემოვნებით და სიყვარულით უსრულებენ სამუშაოს შემკვეთლებს. ორასამდე მკერავი მუშაობს აქ გამოცდილი ოსტატის ა. ახვლედიანის კონსულტაციით. ა. ახვლედიანი 23 წელია მუშაობს ამ დარგში და სამართლიანად დაიმსახურა ავტორიტეტი კლიენტებში.

ატელიეს საუკეთესო ბინა უჭირავს. საამქროები გაშლილია 500 კვადრატული მეტრი ფართობის დარბაზებში. აქ იკერება ქალთა ზედა ტანსაცმელი და კაბები, აგრეთვე ქუდები.

ატელიე ახლა ენერგიულად მუშაობს შემოდგომა-ზამთრის სეზონის ტანსაცმლის შეკერვაზე. მარტო სექტემბერში ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია უნდა გამოუშვას.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. **სურათზე:** ნოვატორი ხარატი ა. აგაპოვი თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშებს გ. გურეშიძეს (მარცხნივ) და ნ. თორთლაძეს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

## შემოქმედებითი თანამეგობრობა

ჭიათურა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს მადნეულთა მთავარი სამმართველოს დავალებით ჭიათურაში ჩამოვიდა ინჟინერ-კონსტრუქტორთა ჯგუფი, რომელშიც შედიან მოძმე უკრაინის სლავიანსკის მანქანათმშენებელი ქარხნის სპეციალისტები. მათი მიზანია ჭიათურის მარგანეცის მაღაროების პირობებისათვის შექმნან ახალი კონსტრუქციის მაღალი წარმადობის სრულყოფილი მტვირთავი მანქანები.

სლავიანსკელი სპეციალისტები გაეცნენ ჭიათურის მაღაროების სამთო-ტექნიკურ პირობებს, ესაუბრნენ მექანიზმებზე მომუშავეებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს. მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. დ. გელაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით მოიწვია თათბირი. ახალი კონსტრუქციის მტვირთავი მანქანის შექმნის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს როგორც სლავიანსკელმა სპეციალისტებმა, ისე ჭიათურელმა ინჟინრებმა მ. ბრეგვაძემ, გ. წიწილაშვილმა, გ. დეკანოზიშვილმა, დ. ნადირაძემ და სხვ.

ახალი მტვირთავი მანქანის შექმნის მიზნით სლავიანსკელმა მანქანათმშენებლებმა და ჭიათურელმა ამხანაგებმა მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობა დაამყარეს.

## ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისათვის

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრიობა ემზადება გენიალური რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად. საოლქო საიუბილეო კომისიას საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივანი რ. ასაევი ხელმძღვანელობს. ადგილობრივი მწერლები აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ბიბლიოთეკაში ეწყობა მწერლისადმი მიძღვნილი გამოფენები. ქ. სტალინირში, აგრეთვე ოლქის რაიონულ ცენტრებში გაიმართება საიუბილეო საღამოები.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ოსურ ენაზე სცემს ლ. ნ. ტოლსტოის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1 სექტემბრისათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 85 პროცენტით, ხოლო აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 77,5 პროცენტით.

ცალკე რაიონებში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს აგვისტოს დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 65,3 პროცენტით, ქობულეთის — 78,3, ქედის — 140, გალის — 86,7, ოჩამჩირის — 66,5, გულრიფშის — 53,6, სუხუმის — 50, გუდაუთის — 69,8, მახარაძის — 73,6, ჩოხატაურის — 86,7, ლანჩხუთის — 71,6, სამტრედიის — 81,8, წულუკიძის — 50,5, ქუთაისის — 87,9, წყალტუბოს — 30,9, ტყიბულის — 79,1, ცხაკაიას — 62,3, აბაშის — 64,6, გეგეჭკორის — 89,5, ზუგდიდის — 104,8, წალენჯიხის — 91,9, ჩხოროწყუს — 82,3, ხობის — 74,6, თერჯოლის — 69,8 და ზესტაფონისას კი — 16,5 პროცენტით.

ცხაკაიას რაიონის ცნობები არასრულია.

# მშვიდობა დაამარცხებს ომს!

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის პირველი საინსტრუმენტო საამქროს ვეებერთელა შენობაში ჰკიდია ლამაზი ტრანსპარანტი. ზედ აწერია სიტყვები, რომელნიც გამოხატავენ ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს, — „მშვიდობა დაამარცხებს ომს!“

მესამე საინსტრუმენტო საამქროს უფროსი ამხ. კუდინოვი ხსნის ქარხნის ოთხი საამქროს კოლექტივთა კრებას. იგი სიტყვას აძლევს საავტომობილო ქარხნის აღზრდილს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრს, სტალინური პრემიის ლაურეატს ს. ვ. დავიდოვს.

ამხ. დავიდოვი ლაპარაკობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის შესახებ, რომელმაც დასახა ყველა საერთაშორისო უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ბრძოლის ახალი გზები და ხელი შეუწყო მშვიდობის მომხრეთა ფრონტის გაფართოებასა და განმტკიცებას.

— ყველა ქვეყნის ხალხთა მასებს, — ამბობს ამხ. დავიდოვი, — მხურვალედ სურთ, რომ მოლაპარაკების გზა გახდეს სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოწესრიგების გზა.

მშვიდობის მომხრეთა დიდი გამარჯვებაა კორეაში დაზავება. ეს დაზავება უწინარეს ყოვლისა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბრძოლის შედეგია. მშვიდობის მომხრეთა დიდი წარმატებაა აგრეთვე ბერლინის პროვოკაციის ჩაშლა.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა ადამიანები შეუნელებლად ადევნებენ თვალყურს საერთაშორისო ვითარების განვითარებას და ყველაფერს გააკეთებენ მშვიდობის განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი ხალხი მხარს უჭერს და იწონებს საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა დაახლოება, მეგობრული, კულტურული, ეკონომიური, მეცნიერული ურთიერთობის გაუმჯობესება და განვითარება.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობას მოწმობს მისი საშინაო პოლიტიკა — ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პოლიტიკა.

ამხ. დავიდოვი აცხადებს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს, რომლებიც მან წამოაყენა ამა წლის 15 აგვისტოს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისათვის გაგზავნილ ნოტაში გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე. ყველა საბჭოთა ადამიანის მოწონებას იწვევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის მოლაპარაკების შედეგები. ეს მოლაპარაკება დიდი წვლილია მშვიდობისათვის ბრძოლაში, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხების მეგობრობის განმტკიცების გზაზე მთელი მსოფლიოს მშვიდობის სასარგებლოდ. ამ მოლაპარაკების დროს საბჭოთა მთავრობამ ცხადყო, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს გერმანიის პრობლემის სამართლიანი გადაჭრისათვის, საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისა და დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძვლებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის.

საბჭოთა ადამიანებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაფართოვდეს ბრძოლა ყველა საერთაშორისო საკითხის მოლაპარაკების გზით მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, სავსებით დროულად მიაჩნიათ. ჩვენ მხარს დავუჭერთ მას პრაქტიკული საქმეებით.

ზეინკალთა ბრიგადირი ამხ. სპირიდონოვი ამბობს, რომ მესამე საინსტრუმენტო საამქროს მუშაკთა კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი კმაყოფილების გრძნობით იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუციას.

ტრიბუნაზეა პირველი საინსტრუმენტო საამქროს პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ფედინი. იგი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი იმის მომხრე იქნება, რომ სავსებით გამოაშკარავდეს მშვიდობისადმი მტრული მთელი ძალების ხრიკები, რომელნიც აფერხებენ საერთაშორისო პრობლემათა მშვიდობიან მოწესრიგებას.

აღფრთოვანებული სიტყვა წარმოთქვა მოწინავე მჭედავმა მუშამ კომკავშირელმა ამხ. უკოლოვმა.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებმაც გადავიტანეთ რეაქციისა და ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე, მშვიდობა სასიცოცხლო საჭიროებაა ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებისათვის.

მხარს ვუჭერთ რა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენ, საინსტრუმენტო საამქროების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველი ღონე, ენერგია და უნარი გამოვიყენოთ მეხუთე ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული საბჭოთა ხალხი კვლავაც იქნება მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში“.

* * *

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიისა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი კრება გაიმართა აგრეთვე მოსკოვის მილის ქარხანაში, ქარხანა „დინამოში“, ტყავის კომბინატსა და ფაბრიკა „ბურევესტნიკში“. (საკდესი).



ახალციხის რაიონის სოფელი ვალე. სურათზე: სოფლის სამკითხველო. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ეცნობიან ახალ კანონს სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შესახებ.
ფოტო რ. აკოფოვისა.

## აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული მეურნეობის, კომუნისტთა აღრიცხვის მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ჯაშმა.

მეორე საკითხზე — 1953-1954 სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში და აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები — პლენუმმა მოისმინა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ბერიძის მოხსენება. ამ საკითხის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა.

ორივე საკითხზე გაშლილი კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. ამხ. ი. ჩხიკვიშვილი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ლ. დავითაძე. პლენუმმა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. ვ. ზარელუა. ამხ. ა. თხილაიშვილი არჩეულ იქნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად. პლენუმმა დაამტკიცა ამხ. შ. ქურიძე გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად და ამხ. ვ. მარღანიძე — გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ რედაქტორად.

## აქტივისა და მკითხველთა კრება

სტალინირი. (საკ. კორ.). პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტმა და საოლქო გაზეთების „კომუნისტისა“ და „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციებმა ამ დღეებში მოაწყეს ავტორთა აქტივისა და მკითხველთა კრება.

კრებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ „კომუნისტისა“ და „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორები ნ. ცხოვრებოვი და ა. მამისაშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. ხარებოვმა, ა. კასაბიევმა, გ. ჯატიევმა, გ. მიროტაძემ, გ. პატარიძემ, ც. თიბილოვმა და სხვ.

მომხსენებლებმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ საოლქო გაზეთები უკანასკნელ ხანებში წარსულთან შედარებით უკეთ ასრულებენ თავიანთ აღმზრდელობით და ორგანიზატორულ როლს. მაგრამ საოლქო გაზეთებს თავიანთ მუშაობაში კვლავ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. მათ ფურცლებზე ჯერ კიდევ ეთმობა ადგილი უფერულ და მოსაწყენ მასალებს. გაზეთები თავიანთი გამოსვლით იშვიათად იქცევენ ადგილობრივი საზოგადოებრიობის ყურადღებას. ცოტა იწერება სოფლის კომუნისტების საქმიანობაზე. პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები გაზეთებს ყურადღების გარეშე რჩებათ.

მართალია, გაზეთებში შუქდება სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხები, მაგრამ გაზეთები ამ საქმეს ბოლომდე არ მისდევენ და ხშირად კარგ წამოწყებას მნიშვნელობა ეკარგება.

აღმოფხვრილი არ არის იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობა. გაზეთის ყურადღების ცენტრში არ დგას ადგილობრივი შემოქმედებითი ორგანიზაციების ცხოვრება. ცოტა იწერება მწერლების, ხელოვნების მუშაკთა საქმიანობაზე. არ ჩანს ამ საქმეში გაზეთის წარმმართველი როლი.

ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ გაზეთები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად განამტკიცებენ კავშირს ავტორთა აქტივთან, მკითხველებთან. საოლქო კომიტეტი სუსტ დახმარებას უწევს საოლქო გაზეთებს, პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ მხარს არ უჭერენ კრიტიკულ გამოსვლებს. საოლქო კომიტეტი თავის სხდომებზე იშვიათად განიხილავს რედაქტორების ანგარიშებსა და მოხსენებებს.

კრების მონაწილეებმა მოითხოვეს საოლქო გაზეთებში ავტორთა აქტივის ფართო მონაწილეობა, ოლქის მრავალფეროვანი ცხოვრების ღრმად, საქმის ცოდნით გაშუქება.

# საკდესის განცხადება

3 სექტემბერს დასავლეთ ბერლინის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ სიტყვა წარმოთქვა ბონის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ადენაუერმა, რომლითაც მან მიმართა საბჭოთა მთავრობას და განაცხადა, რომ „თუ საბჭოთა მთავრობა მზად არის ეძიოს გერმანიის პრობლემის ნამდვილად თავისუფალი გადაჭრა სხვა სახელმწიფოებთან ერთად, შეიძლება შეიქმნას საფუძველი ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“.

საკდესს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში ადენაუერის ამ გამოსვლას აფასებენ, პირველ ყოვლისა, როგორც წინასაარჩევნო მანევრს.

როგორც ბ-ნ ადენაუერის მიერ საბჭოთა მთავრობისადმი მიმართვის ამორჩეული ფორმა, ისე ამისათვის შერჩეული მომენტი, ეჭვს არ სტოვებენ, რომ ადენაუერის გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავს ბონის პარლამენტის მომავალ 6 სექტემბრის არჩევნებთან დაკავშირებით. ადენაუერის გამოსვლის მიზანია შეცდომაში შეიყვანოს დასავლეთ გერმანიის ამომრჩევლები ბონის მთავრობის პოლიტიკის ნამდვილი ხასიათის შესახებ. ადენაუერისა და მისი ჯგუფის ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ყოფნამ ცხადყო, რომ ადენაუერის მთავრობა ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების გზაზე და გერმანიის ეროვნული გაერთიანების განხორციელების გზაზე.

ცნობილია, რომ ადენაუერი და მის ზურგს უკან მდგომი მილიტარისტულ-რევანშისტული წრეები მიისწრაფიან შექმნან დასავლეთ გერმანიაში ისეთი არმია, რომელიც შეუერთდებოდა ეგრეთწოდებულ „ევროპის არმიას“ და ცდილობენ, რომ დასავლეთ გერმანია შეიყვანონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. ამ მიზნით ადენაუერის მთავრობამ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს „ევროპის არმიის შექმნას“, აგრეთვე ბონის შეთანხმებას, რომლებიც წინასწარ 50 წლით გამოაბამენ დასავლეთ გერმანიას სამი სახელმწიფოს ეტლს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფის, და ლეგალურს ხდიან უცხოეთის ჯარების ყოფნას დასავლეთ გერმანიაში აღნიშნული ვადით. არც პარიზის, არც ბონის შეთანხმებას ჯერ ძალა არა აქვს, ვინაიდან მათ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ მთელ რიგ ქვეყნებში. ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიაშიც იზრდება წინააღმდეგობა ამ შეთანხმებათა განხორციელებისადმი, შეთანხმებებისა, რომლებითაც დაინტერესებული არიან მხოლოდ აგრესიული წრეები.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ პარიზისა და ბონის შეთანხმებების ნამდვილი მიზანია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ომის მომზადება. ამიტომ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, ბუნებრივია, მიესალმება ამ შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგობას, რაც სულ უფრო ფართოვდება.

მაგრამ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ადენაუერი სწორედ ახლანდელ მომენტში ძაბავს მთელ თავის ძალებს, რათა განამტკიცოს თავისი მთავრობის მდგომარეობა, ყოველ საშუალებით შეაგროვოს ხმები მომავალ არჩევნებში და ამის შემდეგ ხელი მოჰკიდოს იმას, რომ საბოლოოდ გააძვრინოს როგორც პარიზის, ისე ბონის შეთანხმებანი და ამით გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ვარაუდი, რომლებიც საკუთარ მიზნებს ისახავენ ევროპასა და მთელ მსოფლიოში. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ შემდეგიც. თუ პარიზისა და ბონის შეთანხმებების გაძვრენას მართლა მოახერხებენ და შეუდგებიან მათ განხორციელებას, მაშინ დასავლეთ გერმანია, რომელმაც ხელი მოაწერა ამ შეთანხმებებს, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ, იგი გადაიქცევა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიული გეგმების იარაღად, იგი საბოლოოდ დაადგება ევროპაში ახალი ომის მომზადების გზას.

იმ დღიდან, როცა პარიზისა და ბონის შეთანხმებანი ძალაში შევა, შეუძლებელი გახდება გერმანიის ერთიანობის აღდგენა. არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს იმასაც, რომ გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უკვე გარკვევით განაცხადა, რომ იგი საშუალებას არ მისცემს ჩაითრიონ აღმოსავლეთი გერმანია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ქსელში და გერმანიის დამონების მის გეგმებში. მეორე მხრივ უგუნურება იქნებოდა მოველოდეთ, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია მხარი დაუჭიროს ამ გეგმებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ და რომელთა მიზანია ევროპის ცენტრში აგრესიის ახალი საშიში კერის აღორძინება, — გეგმებს, რომლებიც შეუთავსებელია მშვიდობისმოყვარე ხალხთა, და უპირველეს ყოვლისა, თვით გერმანელი ხალხის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მეზობლების ინტერესებთან.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ადენაუერის მტკიცება, თითქოს „გერმანიის პრობლემის თავისუფალი გადაჭრისათვის“ საჭირო იყოს საბჭოთა მთავრობა დათანხმდეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის აღნიშნულ გეგმებს, თავიდან ბოლომდე ყალბია და რომ ეს მტკიცება ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებიც უცხოა გერმანელი ხალხის ინტერესებისა და ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის.

ადენაუერს რომ არ ეშინოდეს სიმართლის, მას უნდა ეღიარებინა, რომ „გერმანიის პრობლემის თავისუფალი გადაჭრის“ გზაზე დაბრკოლებას ადგილი აქვს არა საბჭოთა მთავრობის მხრივ, არამედ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მხრივ, რომლებიც თავს ახვევენ პარიზისა და ბონის შეთანხმებებს. მაგრამ ადენაუერს, როგორც ჩანს, ახლა ამისათვის არ ცალიან, ვინაიდან იგი მზად არის ყოველგვარი საშუალებით მიიღოს ხმები არჩევნებში და ხელი შეუშალოს ამომრჩევლებს ხმა მისცენ იმათ, ვინც ეძებს გერმანიის ეროვნული გაერთიანების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნამდვილად მშვიდობისმოყვარულ გზებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ საბჭოთა ადამიანები გულწრფელად თანაუგრძნობენ ყველა იმ გერმანელს, რომლებიც ესწრაფიან გერმანიის მტკიცე მშვიდობას და თავისუფლებას, ერთიანობასა და დამოუკიდებლობას.

პარტიულ თემაზე

# რაიკომი და საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაცია

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს საბჭოთა აპარატის საქმიანობას და მოითხოვს, რომ მის მუშაობაში იყოს მაღალი კულტურა, ორგანიზებულობა, სიზუსტე და გულისხმიერი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისადმი, მათი მოთხოვნილებებისადმი.

ცნობილია, რომ საბჭოთა და სამეურნეო აპარატის მუშაობის ნაყოფიერად წარმართვაში დიდია დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების როლი. ისინი მოწოდებული არიან დაუღალავად ეხმარებოდნენ აპარატის მუშაკებს პარტიისა და მთავრობის მითითებათა განუხრელად განხორციელებაში, ზრდიდნენ კადრებს მაღალი პრინციპულობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ასწავლიდნენ მათ სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას, ეწეოდნენ მათ შორის მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების დიდ ნაწილს სწორად აქვს გაგებული თავისი ამოცანა საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ბევრი მათგანი წარმატებით ახორციელებს პარტიის მითითებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები უნდა იყვნენ დამცველნი ნამდვილი საბჭოთა წესრიგისა ჩვენს დაწესებულებებში, უნდა ეხმარებოდნენ პარტიას საბჭოთა აპარატის საქმიანობის სანიმუშოდ მოწყობაში, მოსახლეობასთან დაახლოებაში, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, არიან დაწესებულებათა და ცალკეულ სამინისტროთა ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ამოცანების დონეზე ვერ დგანან, არ ზრუნავენ საბჭოთა აპარატის საქმიანობის შინაარსიანად დაყენებისათვის, ვერ ეხმარებიან მუშაკებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

საქართველოს ხორცის მრეწველობის და ცხოველდამზადების ტრესტის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი გ. ხატიაშვილი) წლების მანძილზე ჩაშლილია პარტიული მუშაობა. აქ პარტიულ კრებებზე მხოლოდ ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ რეკომენდებულ საკითხებს განიხილავენ. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ნორმალურად მიაჩნიათ, რომ პარტიულ კრებებზე გასული წლის ივნისიდან მიმდინარე წლის აგვისტომდე ადგილობრივი მნიშვნელობის არცერთი საკითხი არ განუხილავთ. პარტიული ორგანიზაცია უგეგმოდ მუშაობს, კომუნისტების დიდ ნაწილს პარტიული დავალება არა აქვს.

პარტორგანიზაციის მდივანს გ. ხატიაშვილს თუ დავუჯერებთ, ამ ტრესტის მმართველს კომუნისტ ზ. მახარაშვილს პარტიული დავალება იმიტომ არა აქვს, რომ ის სამსახურებრივი საქმეებით არის დატვირთული და დრო აღარ რჩება პარტიული დავალებას შესრულებისათვის(!)

ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას აქვს, — განაცხადა პარტორგანიზაციის მდივანმა, — იმით არის გამოწვეული, რომ პარტიის კალინინის რაიკომი საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ გვიწევს. ჩვენთან იშვიათად თუ მოვლენ რაიკომის მუშაკები, ხოლო როცა მოვლენ, იმისათვის კი არა, რომ დაგვეხმარონ, გვასწავლონ, არამედ მხოლოდ ცნობების შესაგროვებლად რაიკომის ბიუროს სხდომების ან პლენუმებისათვის.

შემოწმებამ ნათელყო, რომ პარტორგანიზაციის მდივანი გ. ხატიაშვილი სამართლიან პრეტენზიას უყენებს პარტიის კალინინის რაიკომს. უთუოდ მართალია, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი არადამაკმაყოფილებელი დახმარებისათვის რაიკომს, მის მუშაკებს უსაყვედურებს. მაგრამ ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ხატიაშვილს, რომელიც შინაპარტიული მუშაობის ჩაშლას მხოლოდ ე. წ. „ობიექტური“ მიზეზებით ხსნის, გამბედაობა არ ჰყოფნის ილაპარაკოს საკუთარ ნაკლოვანებებზე, აღიაროს, რომ პარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დაყენებაში პირველ რიგში მას მიუძღვის ბრალი.

პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის ასე სუსტად დაყენების შემდეგ შემთხვევითი როდია, რომ ამ ტრესტის აპარატის მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ტრესტის განყოფილებათა შორის ყველაზე მოუქნელად საწარმოო განყოფილება მუშაობს. სამწუხაროდ, ამ განყოფილებას თვით პარტორგანიზაციის მდივანი ხელმძღვანელობს. ტრესტის მუშაკებს შორის დაბალ დონეზეა შრომის დისციპლინა. არის შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ საჭირო ზომებს არ იღებენ. ამ რამდენიმე ხნის წინათ ყვარლის რაიონის ცხოველდამზადების კანტორის ზოგიერთი მუშაკის წინააღმდეგ სერიოზული მამხილებელი სიგნალები შემოვიდა. გამოიყო კომისია, რომელსაც საკითხის შესწავლა დაევალა. კომისიამ დეტალურად გამოარკვია ყვარლის ცხოველდამზადების კანტორის და ამ კანტორის ზოგიერთი მუშაკის შესახებ შემოსული სიგნალების სისწორე. შემოწმებით დადასტურდა, რომ დასახელებულ კანტორაში მართლაც იყო მთელი რიგი უმსგავსოებანი. კომისიამ ამ საკითხზე საკმაოდ დასაბუთებული მასალები წარუდგინა ტრესტის ხელმძღვანელობას, მაგრამ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ რატომღაც არ იქნა მიღებული გადამჭრელი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში 57 კომუნისტი ირიცხება. ეს დიდი ძალაა, თუ ის სწორად იქნება გამოყენებული, თუ პირველადი პარტიული ორგანიზაცია, მისი ბიურო შინაარსიანად მოაწყობს შინაპარტიულ მუშაობას და უნარიანად დარაზმავს კომუნისტებს, აპარატის ყველა მუშაკს სამინისტროს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მაგრამ სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მ. ქასტაური) ცუდად მუშაობს. კომუნისტები იშვიათად მსჯელობენ აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე, ურიგდებიან ნაკლოვანებებს. პარტიულ მუშაობაში დანერგილია ფორმალიზმი. ამ ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში ჩატარდა, კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიურო და მისი მდივანი შინაპარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის. მათ მოითხოვეს, რომ ახლად არჩეულ პარტბიუროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, უკეთ ეხელმძღვანელა საგიტაციო და პროპაგანდისტული საქმიანობისათვის, გადაჭრით გაეუმჯობესებინა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამ ხნის მანძილზე გაწეულ მუშაობას თუ შევისწავლით, დავრწმუნდებით, რომ თითქმის არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, კომუნისტებმა პარტბიუროს და მის მდივანს დაავალეს.

მიმდინარე წლის 13 აგვისტოს შედგა ღია პარტიული კრება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შედეგების განხილვას მიეძღვნა. კრების მონაწილენი მოელოდნენ, რომ მომხსენებელი ილაპარაკებდა იმ ამოცანებზე, რომლებიც პარტიული ორგანიზაციის, სამინისტროს მთელი კოლექტივის წინაშე დგას. მაგრამ მომხსენებელს ამ საკითხზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მიბაძეს რა მომხსენებელს, ასევე მოიქცნენ სიტყვით გამოსული ამხანაგებიც. კრების ეს ნაკლი ოდნავაც ვერ გამოასწორა თვით მინისტრმა ამხ. ა. ხელიძემ, რომელიც კრების დასასრულს გამოვიდა სიტყვით. მისი გამოსვლაც ზოგადი ხასიათისა იყო.

კრება რომ მოუმზადებელი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ თავმჯდომარე კრების პროცესში შედგენილი სიის მიხედვით მოულოდნელად აძლევდა სიტყვას კომუნისტებს, რაც ერთგვარ გაუგებრობასა და უხერხულობას იწვევდა. მაგალითად, კომუნისტმა მ. ანჯაფარიძემ, რომელიც სიით ამოიკითხეს, სიტყვის თქმაზე უარი განაცხადა და დასძინა, რომ მზად არ იყო სიტყვისათვის და არც არავისათვის არ უთხოვია — მოკამათეთა სიაში შეეტანათ.

პარტორგანიზაციაში უყურადღებოდ არის მიტოვებული პარტიული მეურნეობა. კრებებისა და ბიუროს სხდომების ოქმები დაგვიანებით და დაბალხარისხოვნად ფორმდება. პარტბიუროს მდივანს მ. ქასტაურს დიდხანს ფიქრი დასჭირდა იმისათვის, რომ მოეგონებინა, თუ სად ჰქონდა შენახული პარტიული კრების ოქმი.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სამინისტროს მუშა-მოსამსახურეთა შორის არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა. დაბალია საუბრების იდეური დონე. უფრო მეტიც. ეპიდემიის საწინააღმდეგო სამმართველოს მუშაკებთან უკვე ორ თვეზე მეტია, რაც საგიტაციო საუბრები არ ეწყობა.

პარტბიუროს წევრებს და მის მდივანს სჯერათ, რომ სამინისტროს აპარატის მუშაობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა. სინამდვილეში თუ ამ აპარატის საქმიანობას გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ამ აზრის გაზიარება შეუძლებელია. მ. ქასტაური ამტკიცებდა, რომ სამინისტროში გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი. ნამდვილად კი ასე როდია. მარტო ის ფაქტი, რომ მინისტრის მდივნის განცხადებებისა და საჩივრების წიგნში ნაჩვენები არ არის, თუ როდის შემოვიდა და ვის გადაეცა ზომების მისაღებად მშრომელთა სამოცზე მეტი განცხადება და საჩივარი, მეტყველებს იმაზე, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს ყურადღებით არ ეკიდებიან.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აპარატის მუშაობის ბევრი ნაკლის დასახელება შეიძლება. მათ შესახებ იციან პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, მისმა ბიურომ, მაგრამ ისინი არსებითად არ ებრძვიან მახინჯ მოვლენებს, საჭიროდ არ თვლიან კონკრეტული დახმარება გაუწიონ სამინისტროს აპარატს მუშაობის გაუმჯობესებაში.

ამ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენება იმითაც უნდა აიხსნას, რომ მათ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომი საჭირო დახმარებას არ უწევს.

პარტიის კალინინის რაიკომს მოეთხოვება საფუძვლიანად გარდაქმნას საბჭოთა დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიოს იმას, რომ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები ბრძოლისუნარიანი იყვნენ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში.

კ. სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქორეოგრაფიის ტრიუმფი

★ ★

## ბუქარესტში, ფესტივალზე

### რა გვიამბო ამერიკელმა ქალიშვილმა

ერთხელ მე და ჩემი ამხანაგები დილის კონცერტიდან ვბრუნდებოდით. ბუქარესტის ქუჩები სავსე იყო სხვადასხვა ქვეყნის მხიარული ახალგაზრდობით. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა წყვილმა—ოქროსთმიანმა, სასიამოვნო სახის ქალიშვილმა და მის გვერდით მიმავალმა ახოვანმა ზანგმა. ახალგაზრდები ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ და გატაცებით საუბრობდნენ. ორივენი ისე მხიარულნი იყვნენ, ისე გულწრფელად იცინოდნენ, რომ უნებლიეთ იქცევდნენ ირგვლივ მყოფთა ყურადღებას.

მათ ეს შეამჩნიეს და მოღიმარნი შეჩერდნენ. მათ ირგვლივ მაშინვე ახალგაზრდობის ჯგუფი შეიკრიბა.

— როდესაც ჩვენ ქალაქში გადაწყვეტილება მივიღეთ ფესტივალზე გაგვეგზავნა დელეგატი — დაიწყო ბეტსიმ (ასე ერქვა ქალიშვილს),—ჩვენ გამოვედით ქუჩებში, კარზე ვუკაკუნებდით მცხოვრებთ და ფულს ვაგროვებდით. ჩვენ ხალხსით გვეხმარებოდნენ თეთრკანიანი მუშებიც და ზანგებიც. ჩვენ ვეუბნებოდით მათ, ვინც ფულს გვაძლევდა, რომ გვსურს გავგზავნოთ ბუქარესტში დელეგატი, მაგრამ არ ვასახელებდით მას, რადგან მისი სახელი მთავრობას რომ გაეგო, მას უსათუოდ დააპატიმრებდნენ. ბევრნი სიხარულით გვაძლევდნენ ფულს, რადგან ჩვენ ვუხსნიდით ფესტივალის მიზანს. ასე შევაგროვეთ საჭირო თანხა. წარმოგზავნილთა შორის მეც აღმოვჩნდი.

— ახლა, — განაგრძო ბეტსიმ, — როდესაც მშობლიურ ქალაქში დავბრუნდები, მე ვუამბობ ჩემს თანამემამულეთ, რომ ვნახე ის, რაზედაც ისინი მხოლოდ ოცნებობენ, — სხვადასხვა რასის ადამიანები მჭიდროდ დარაზმულან საერთო საქმის — მშვიდობის წმინდა საქმის დასაცავად. ვუამბობ ყველას, როგორ დავდიოდი პოლთან ბუქარესტის ქუჩებში და ხალხს არ უკვირდა, არ გვიყურებდა შიშით, პირიქით, ყველანი მეგობრულად გვესალმებოდნენ.

— მე ვუამბობ ამერიკელ ქალებს — თეთრკანიანებსა და შავკანიანებს, — რომ ვნახე ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც არ არჩევენ ადამიანებს კანის ფერის მიხედვით, რომელნიც მზად არიან დაგვეხმარონ ყველა რასის თანასწორობისათვის ჩვენს მძიმე ბრძოლაში, რომ ბუქარესტში მშვიდობისა და მეგობრობის დროშით მჭიდროდ გაერთიანდა ყველა ქვეყნის, ყველა კონტინენტის ახალგაზრდობა.

ამ სიტყვებით ბეტსი და პოლი გულთბილად გამოგვესალმნენ და ხელიხელჩაკიდებულმა განაგრძეს გზა.

**გუგული მახარაძე,**
საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი, დემოკრატიული ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.

## უცნობი ესპანელის გულწრფელი სიტყვები

ერთ-ერთ თავისუფალ დღეს მე და ჩემი ამხანაგები ვათვალიერებდით ბუქარესტს და გადავწყვიტეთ შევსულიყავით შესანიშნავ ძველ პარკში — ჩიშმიჯიუში. პარკის შესასვლელთან შევნიშნეთ ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც გაფაციცებით უსმენდა ერთ ჭაბუკს. იგი მათ რაღაც წერილს უკითხავდა. ჩვენც მივედით და მოვუსმინეთ, ჭაბუკი ესპანურ ენაზე კითხულობდა. ერთ-ერთმა ნაცნობმა მოსკოველმა სტუდენტმა გადმოგვითარგმნა წერილის ტექსტი. ჩვენ ისე აგვაღელვა უცნობი ესპანელის სიტყვებმა, რომ წერილის ტექსტი ჩავიწერეთ.

აი ეს წერილი: „ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა ვიცოდე, რომ ეს რამდენიმე სტრიქონი გადაიფრენს ათასობით კილომეტრს და მათ წაიკითხავენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც იცავენ მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დიად საქმეს.

ო, როგორ ვნატრობ ამ წერილის ბედს, როგორ მინდა ვიყო მის ადგილას, რათა პირადად შევხვედროდით და გადაგხვეოდით ყველას. ჩვენ აღტაცებული ვართ იმათი ბედით, ვისაც ბედნიერება ხვდა მონაწილეობა მიეღო ფესტივალში!

ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით ვუერთდებით მთელ ახალგაზრდობას, რომელიც გულით ატარებს ერთადერთ კეთილშობილურ იდეალს — მშვიდობას.

მე არ ვიცი, ვინ მიიღებს ამ წერილს, მაგრამ ვოცნებობ, რომ მისი სტრიქონები ცნობილი გახდეს ყველასათვის. დაე ყველამ იცოდეს, რომ ჩემი თანამემამულენი ფიქრობენ ისევე, როგორც მე!

ჩვენ მივესალმებით ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომელნიც განამტკიცებენ მსოფლიოს ხალხთა მეგობრობას.

გაუმარჯოს მშვიდობას და ყველა იმას, ვინც მას იცავს!

გულწრფელი გრძნობებით ვალენსიის მთელი ახალგაზრდობის სახელით ახალგაზრდა მუშა".

ბევრჯერ გადავიკითხე ეს წერილი. მჯერა, რომ მომავალ მსოფლიო ფესტივალზე ამ წერილის ავტორი უსათუოდ შეხვდება მის უცნობ, მაგრამ მხურვალე მეგობრებს.

**გივი ჩიჩუა,**
საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი, დემოკრატიული ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი.



საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მონაწილენი კორეელ და [illegible] მეგობრებთან.



საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობები — დემოკრატიული ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები. ცენტრში: ანსამბლის ხელმძღვანელები საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

★

## მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაულზე

**ნინო რამიშვილი,**
**ილიკო სუხიშვილი.**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიისა და დემოკრატიული ახალგაზრდობის IV მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები.

ბუქარესტში ჩვენი ანსამბლი უკვე ორჯერ იყო — 1948 და 1950 წლებში. ჩვენს ახლანდელ და წინანდელ გამგზავრებათა შორის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ამჯერად ჩვენ რუმინეთში გავემგზავრეთ არა როგორც დამოუკიდებელი გასტროლიორები, არამედ როგორც იმ დელეგაციის წევრები, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო 111 ქვეყნის წარგზავნილთა შეჯიბრებაში და დაეცვა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ხელოვნების დიადი დროშის ღირსება.

...მოსკოვიდან საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა 29 ივნისს. მას მეთაურობდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. შელეპინი. ჩვენს მხატვრულ ჯგუფში 600-ზე მეტი კაცი შედიოდა. ჯგუფი შედგებოდა სოლისტი მომღერლების, მოცეკვავეებისა და მუსიკოსებისაგან, ქორეოგრაფიულ, საგუნდო ანსამბლებისაგან, სიმფონიური ორკესტრების, აკრობატებისა და ჟონგლიორებისაგან. ყველა ჩვენგანს ეცვა ფესტივალის საპარადო ფორმა.

31 ივლისს უკვე იასში ვიყავით. აქ პირველად შევიგრძენით ჩვენდამი იმ მეგობრობისა და სიყვარულის გამოვლინება, რაც თან გვდევდა სტუმართმოყვარე რუმინელი ხალხის დედაქალაქში ჩვენი ყოფნის მთელ პერიოდში.

იასში გადავსხედით რუმინეთის სასწრაფო მატარებელში, რომელმაც საღამოს 11 საათზე ბუქარესტში ჩაგვიყვანა.

ახალგაზრდების მსოფლიო დღესასწაული 2 აგვისტოს გაიხსნა 23 აგვისტოს სახელობის კულტურისა და სპორტის ახალი პარკის სტადიონზე, რომელიც ააგო რუმინელმა ახალგაზრდობამ ფესტივალის აღსანიშნავად. დღის 4 საათზე დაიწყო პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 111 ქვეყნის 30 ათასმა ახალგაზრდა წარმომადგენელმა.

ფანფარების ხმაზე სტადიონის მწვანე მოედანზე პირველნი გამოჩნდნენ ალბანეთის ჭაბუკები და ქალიშვილები. ჰაერში აფრინდა ათეულ ათასობით თეთრი მტრედი. ამ მომენტში ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის წარგზავნილებმა თავიანთ ენაზე იმღერეს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი.

საზეიმო მარშების ხმაზე ერთმანეთის შენაცვლებით ტრიბუნას ჩაუარეს სხვადასხვა ქვეყნის, მსოფლიოს ყველა კუთხიდან წარგზავნილთა კოლონებმა.

ტრიბუნას მიუახლოვდნენ ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული კორეელი ჭაბუკები და ქალიშვილები. სტადიონზე იქექა მძლავრმა, აღმაფრთოვანებელმა ოვაციამ, რითაც დამსწრენი მიესალმებოდნენ გმირ ქვეყანას, რომელიც ამ დღეებში განიცდიდა უსაზღვრო სიხარულს მიღწეული გამარჯვების გამო. კორეელებს უამრავი ყვავილი უძღვნეს და ხელზე აყვანილნი გაატარეს მთელ სტადიონზე.

„ვაშას" აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდა სტადიონი საბჭოთა კავშირის დელეგაციას, რომელმაც ტრიბუნას ჩაუარა სსრ კავშირისა და მის შემადგენლობაში შემავალი 16 მოკავშირე რესპუბლიკის მაღლა აღმართული სახელმწიფო გერბებით.

დელეგაციათა პარადი 4 საათს გაგრძელდა. შემდეგ მაყურებელთა თვალწინ წარმოსდგა დიდებული სანახაობა — რუმინელ ფიზკულტურელთა გამოსვლა.

განსაკუთრებით ჩაგვრჩა მეხსიერებაში პარადის დასასრულს ნაჩვენები რუმინული ხალხური ცეკვები. ჩამავალი მზის თვალისმომჭრელ სხივებზე ლამაზად ელავდა ათასი მოცეკვავის ფერადოვანი კოსტიუმები. მოცეკვავეებმა განგვაცვიფრეს მოძრაობის შეთანხმებულობით, მწყობრი რიტმით, შესრულების ტემპერამენტით.

ფესტივალის გახსნის მეორე დღეს დაიწყო დელეგაციების საკონცერტო გამოსვლები. ფესტივალმა ყველა ქვეყნის ახალგაზრდა წარგზავნილთ მისცა უმაღლითო შესაძლებლობა გამოევლინებინათ თავიანთი ნიჭი, გამოეთქვათ მშვიდობისადმი თავიანთი მტკიცე, ურყევი მისწრაფება.

ჩვენმა ანსამბლმა პირველად გამოავლინა თავისი ოსტატობა 3 აგვისტოს საბჭოთა დელეგაციის ნაკრებ კონცერტში. კონცერტი გაიმართა სახელმწიფო ოპერის ახალ შენობაში. კონცერტს ესწრებოდნენ გ. გეორგიუ-დეჟი და პეტრუ გროზა. მრავალ მაყურებელთან ერთად ისინი გულთბილად მიესალმებოდნენ ყველა შემსრულებელს.

4 აგვისტოდან დაძაბული დღეები დადგა, — რუმინეთის სახალხო არმიის თეატრში დაიწყო ხალხური ცეკვების შემსრულებელთა კონკურსი.

ეს მხატვრული კონკურსები ფესტივალის დიდ მოვლენას წარმოადგენდნენ — ისინი გადაიქცნენ ხალხთა ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების ნამდვილ დღესასწაულად.

საბჭოთა ახალგაზრდობამ კონკურსზე მიიღო საერთაშორისო ჟიურის მაღალი შეფასება და მხურვალე ქება შესრულების მაღალი კულტურის, სრულყოფილი ტექნიკისა და, რაც მთავარია, შესრულებულ ნაწარმოებთა შინაარსის ღრმა გააზრებისათვის. საბჭოთა კავშირის წარგზავნილებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს მთელ მსოფლიოს საბჭოთა სკოლის ტრადიციების, ოსტატობისა და იდეური მიმართულების უპირატესობა სხვა სკოლების მიმართ. პირველი პრემია საბალეტო ხელოვნებაში მიიღო ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა ჯგუფმა, რომელიც გამოდიოდა კონკურსგარეშე.

წლევანდელ საერთაშორისო ფესტივალში პირველად მონაწილეობდნენ სიმფონიური ორკესტრები და აქაც გამარჯვება ხვდათ საბჭოთა მუსიკოსებს — მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტთა სიმფონიურ ორკესტრს.

ხალხური ცეკვის ანსამბლების კონკურსი დანიშნული იყო 4-დან 10 აგვისტომდე. ჩვენს ანსამბლს წილად ხვდა გამოსვლა 5 აგვისტოს. ამ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებოდა ბევრი ანსამბლი. ჩვენი მსახიობები უნდა გამოსულიყვნენ ჩინელ მოცეკვავეთა შემდეგ.

ჩინელ მოცეკვავეთა ნახვის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენ ორივენი და გამოსვლისათვის მომზადებული ჩვენი სოლისტები აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს კულისებიდან ჩინელ მოცეკვავეთა მაღალ ოსტატობას, რომელთა ხელოვნებაში ტექნიკა სრულყოფის იმ დონემდეა აყვანილი, რომ იგი უხილავი ხდება. მათი საუცხოო კოსტიუმები ყოველ მობრუნებაზე ათასფრად ბრწყინავდა. ისინი მოგვაგონებდნენ ხან ხოხბის ფრთებს, ხან ოქროს თევზების ქერცლს, ხან ცეცხლოვან ვეშაპებს, რომლებიც ხშირად გვინახავს ჩინურ მინიატურებზე.

კონკურსის პირობების მიხედვით თვითეულ შემსრულებელს ევალებოდა ეჩვენებინა ორი ან სამი ნომერი, რომელთაც თვითონ ამოირჩევდა. ჩვენ პროგრამაში შევიტანეთ ცეკვა „შეჯიბრება" და „მხედრული". ეს ცეკვები შემთხვევით არ ამოგვირჩევია. „შეჯიბრებაში" მონაწილეობს ცხრა ვაჟი, რომლებიც, თითქოს ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ, ასრულებენ სხვადასხვა ცეკვას. ამით უცხოელი მეგობრებისათვის შეგვეძლო გვეჩვენებინა ქართული ცეკვების მთელი მრავალფეროვნება. ჩვენი ანსამბლის საკონკურსო გამოსვლის მეორე ნომერი — „მხედრული" შეიცავს მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ თვისებებს.

როდესაც ჩვენი ანსამბლის გამოსვლა გამოაცხადეს, მაყურებელთა დარბაზში ტაშმა იგრიალა. პროგრამის წამყვანი იძულებული იყო მოეგონებინა დამსწრეთათვის, რომ „კონკურსი კონცერტი არ არის, რომ აქ ტაში დაუშვებელია". დროებით შეჩერებულმა ტაშმა ახალი ენერგიით იქექა, როცა ჩვენი ანსამბლის ყველაზე ახალგაზრდა მოცეკვავე თენგიზ სუხიშვილი „მხედრულ" ცეკვაში ასრულებდა თავის სოლო ეპიზოდს. ჩვენი მოცეკვავეები რვაჯერ გამოიძახეს. დამსწრეთა მოთხოვნით და ჟიურის ნებართვით მათ გაიმეორეს თავიანთი ნომრები, რაც ერთადერთი შემთხვევაა საერთაშორისო საკონკურსო გამოსვლათა პრაქტიკაში.

საკონკურსო გამოსვლა შედგა დილით, ხოლო იმავე საღამოს ჩვენმა ანსამბლმა იცეკვა ესტრადაზე, რომელიც სპეციალურად ფესტივალისათვის იყო აგებული თავისუფლების მოედანზე და იტევდა 50 ათას მაყურებელს. აქ ჩვენი მსახიობები მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ მრავალფეროვანი პროგრამით, რომლიდანაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა „ქართულს", „რამაიდას", „ცერულს", „შეჯიბრებას" და „მხედრულს".

მომდევნო დღეებში მრავალჯერ გამოვედით სტალინის სახელობის პარკში „საერთაშორისო კონცერტში", რომელშიც მონაწილეობდნენ ინგლისის, არგენტინის, იაპონიის, ნიგერიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმოგზავნილნი, შემდეგ საბჭოთა კავშირის დელეგაციის კონცერტებში სახელმწიფო ოპერის შენობაში, აგრეთვე 23 აგვისტოს სახელობის კულტურისა და სპორტის პარკის საზაფხულო თეატრში.

სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ანსამბლის გამოსვლები მუდამ უდიდეს ინტერესს იწვევდა. დიდი დარბაზები, სადაც ცეკვავდნენ ჩვენი მსახიობები, ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი, ცეკვების უმრავლესობას რამდენჯერმე გვამეორებინებდნენ. მსახიობთაგან განსაკუთრებული წარმატება ხვდათ მარინე მხეიძეს, ნინო ლორთქიფანიძეს, ნაირა ჟორდანიას, გულნარა ნიკოლოზიშვილს, ელენე დოლიძეს, გუგული მახარაძეს, ლეილა ამაღლობელს, ნათელა ცინცაძეს, ელენე წერეთელს, ილიკო თაყაიშვილს, ვანო მერაბიშვილს, გივი სურვილაძეს, ვლადიმერ ჟუჟარაძეს, გივი ჩიჩუას, შალვა გარუჩავას, გიორგი სიმონიშვილს, ზურაბ ქველიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ანსამბლი თითქმის ყოველდღე მართავდა კონცერტებს, ვცდილობდით გამოგვენახა დრო და გვენახა ყოველივე, რაც კი ხდებოდა ფესტივალზე. რასაკვირველია, ყველაზე მეტად ცეკვები გვაინტერესებდა. აღტაცებული ვუყურებდით ბულგარელთა, რუმინელთა, უნგრელთა, ალბანელთა, ჩეხთა, შვედთა, მექსიკელთა, არგენტინელთა, შოტლანდიელთა ცეკვებს. ისინი გვხიბლავდნენ თავიანთი მეტად მრავალფეროვანი ეროვნული თვისებებით, მუსიკის თავისებურებით. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება გვენახა ცეკვა, რომელსაც 1.500 წლის ისტორია აქვს. ეს ცეკვა შეასრულა მშვენიერმა ინდრანი რახმანმა — ჰიმალაის კალთებზე მდებარე ქვეყნის ქალიშვილმა.

ინდრანის ხელები, თავი, მხრები გამოსახავდნენ ლოცვას, რომლითაც მორწმუნე ინდოელები 1.500 წელზე მეტი ხანია, რაც მიმართავენ თავიანთ ღმერთებს, მისი თვალები სადღაც შორს იცქირებოდნენ, ხელები კი უხილავ ღვთაებას აწვდიდნენ ყვავილებს, ფრინველებს, პეპლებს — ყველაფერს, რაც კი გულუხვ ბუნებას მშვენიერი ინდოეთისათვის მიუცია, მაგრამ რასაც მოკლებულია მისი ხალხი.

...სცენაზე ცეკვავდა ინდრანი, დარბაზში კი ისხდნენ მთელი მსოფლიოს წარგზავნილნი. ინდრანი მიმართავდა დარბაზში მსხდომ თავის მეგობრებს, თავისი ცეკვით უამბობდა მათ თავის სამშობლოზე, ბედნიერებას მოწყურებულ თავის ხალხზე. მქუხარე ტაში, რომლითაც დააჯილდოვა ახალგაზრდა მოცეკვავე მისთვის უჩვეულო მაყურებელმა, იყო არა მარტო მისი ნიჭის, არამედ მთელი მისი ხალხის შესანიშნავი ხელოვნების აღიარება.

ჩვენი საერთო აღტაცება გამოიწვია ცნობილი კორეელი მოცეკვავე ქალის ან სონ ხის მეტად გრაციოზულმა და პოეტურმა ცეკვებმა. მან ყველა მოხიბლა უძველესი ცეკვის „ფიცის" შესრულებით, რომელშიც სიმბოლურად გადმოცემულია კორეელი ხალხის თავდადება სამშობლოსათვის. ცეკვაში „დილა" ან სონ ხი განსაკუთრებული გამომეტყველებით უამბობდა მაყურებლებს თავისი ქვეყნის ქალიშვილის ცხოვრებაზე, რომელიც თავის დღეს მტრედის — მშვიდობის ფრინველის ამოქარგვით იწყებს.

12 აგვისტოს, საღამოს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა ჟიურის და ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ მხატვრული კონკურსების ლაურეატებისათვის პრემიების გადაცემა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მდივანმა მალკოლმ ნიქსონმა გამოაქვეყნა ლაურეატების სია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ დენიმ გადასცა პრემიები კონკურსში გამარჯვებულებს. ჩვენი ანსამბლი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ ასეთ პასუხსაგებ ასპარეზობაზე მან მიიღო პირველი პრემია, ოქროს მედალი და ლაურეატის საპატიო წოდება.

კლასიკური ბალეტის ოთხმა შემსრულებელმა — სოლისტმა ნელი კურგაპკინამ, გენადი ლედიახმა, ინა იზრაილევამ, სვიატოსლავ კუზნეცოვმა და კონკურსს გარეშე გამოსულმა ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა საბალეტო ჯგუფმა, რომელთაც პირველი პრემია მიენიჭათ, კიდევ ერთხელ ნათელყვეს მსოფლიოში განთქმული რუსული ბალეტის პრიორიტეტი. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ხალხური ცეკვების შემსრულებელმა მოლდავეთის ხალხური ცეკვის ახალგაზრდა ნიჭიერმა ანსამბლმა, რომელმაც საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლთან პირველი პრემია გაინაწილა.

ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება საბჭოთა დელეგაციიდან დაიმსახურეს: ოთხმა პიანისტმა — ნ. იუზბაშევამ, ვ. ნოსოვმა, ტ. ხუდაიბერდინამ, უჩკუნ განიევმა, ორმა მევიოლინემ — ბორის გუტნიკმა და ხალიდა ახტიმოვამ, ორმა ჩელოს დამკვრელმა — იგორ კოზოლუპოვმა და ა. ნიკიტინმა, ხალხური ინსტრუმენტების სამმა დამკვრელმა — ტატიანა მახარაძემ, სალიმა ბეხმუტოვამ, ასატ აზიმოვმა, მოსკოვის კონსერვატორიის სიმფონიურმა ორკესტრმა და ყაზახეთის ხალხურმა ორკესტრმა. სხვადასხვა ხარისხის 13 პრემია მოიპოვეს სასულე ინსტრუმენტების დამკვრელმა საბჭოთა ოსტატებმა.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს რუსული ვოკალური სკოლის ტრადიციებზე აღზრდილმა საბჭოთა მომღერლებმაც. პირველი პრემია ჟიურის გადაწყვეტილებით მიენიჭა კამერული და საოპერო რეპერტუარის 7 საბჭოთა მომღერალს, საბჭოთა სიმღერების 3 შემსრულებელს, აგრეთვე მოსკოვის სტუდენტთა გუნდს და ომსკის ხალხურ გუნდს.

16 აგვისტოს საღამოს 6 საათზე 28 მარტის სახელობის მოედანზე ფესტივალის დახურვასთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო პარადი. ყველა დამსწრე აღტაცებით შეხვდა საპყრობილედან ახლად განთავისუფლებული ფრანგი პატრიოტის ანრი მარტენის გამოჩენას ტრიბუნაზე.

17 აგვისტოს დილით ჩვენი ანსამბლი მთელ საბჭოთა დელეგაციასთან ერთად გამოემგზავრა ბუქარესტიდან. 20 აგვისტოს ჩამოვედით მშობლიურ მოსკოვში. კურსკის სადგურზე დაგვხვდა მრავალი ათასი ჩვენი თანამემამულე, გაიმართა მიტინგი.

22 აგვისტოს ჩვენმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრში გამართულ საბჭოთა დელეგაციის ლაურეატების საზეიმო კონცერტში.

23 აგვისტოს გამოვემგზავრეთ საქართველოში...

★ ★

## მეგობართა შთაბეჭდილებანი

### რაიმონდა დიენი

მამაცი ფრანგი პატრიოტი რაიმონდა დიენი ფესტივალის გახსნის დღეს მხურვალედ მიესალმა საბჭოთა დელეგაციას. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ერთ-ერთ კონცერტზე მან აღტაცებით თქვა: „თქვენმა წარმტაცმა ცეკვამ მომაგონა ის დაუვიწყარი დღეები, რაც საქართველოში გავატარე. ქართველი ხალხის ცეკვა ისევე მშვენიერია, როგორც თქვენი ქვეყანა, მისი ზღაპრული ბუნება, მცხუნვარე მზე და ლაჟვარდი ცა. თქვენს მშვენიერ ცეკვას შემიძლია ვუყურო დაუსრულებლად და მუდამ რაღაც ახალი აღმოვაჩინო მასში!".

### ჟაკ დენი

12 აგვისტოს ბუქარესტის ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ფესტივალის მხატვრული კონკურსების ლაურეატებისათვის ჯილდოთა საზეიმო გადაცემა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ დენიმ საქართველოს სახალხო ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელებს ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს გადასცა ოქროს მედალი და ლაურეატის დიპლომი. „მე მომხიბლა ქართველი ხალხის ულამაზესმა ცეკვებმა — თქვა მან. — ისინი იმდენად მეტყველად, გამომსახველად გვიამბობენ თქვენი ქვეყნის შესახებ, რომ ასე მგონია ტურფა საქართველო პირადად ვნახე".

### ან სონ ხი

ჩვენ ნაცნობები ვართ — გულთბილად უთხრა ანსამბლის ხელმძღვანელებს ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ პატარა შავგვრემანმა, ეშხიანმა ქალმა. მე ვარ ან სონ ხი. ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში. მაშინ მშვენიერი ქართული ცეკვებიდან ყველაზე მეტად მომეწონა „ქართული". ახლა ის კვლავ ვნახე და მოვიხიბლე. მე ვფიქრობ იმაზე, რომ, თუ ჩემს მშობლიურ კორეას დილის სიგრილის ქვეყანას უწოდებენ, ნეტა რა სახელი უნდა ერქვას იმ ქვეყანას, რომელმაც ასეთი მაღალი გრძნობის გამომსახველი, განუმეორებელი ცეკვა შექმნა!

### ბარბარა ტაილორი

ბარბარა ტაილორი ავსტრალიის დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრია. მას 16 წელი შეუსრულდა, უკვე რამდენიმე წელი სწავლობს საბალეტო ხელოვნებას. საქართველოს ცეკვის ანსამბლის კონცერტის შემდეგ მან მის მონაწილეთ თაიგული მიართვა.

„მსურს მოცეკვავე გავხდე არა იმისათვის, რომ ბევრი ფული მქონდეს, — თქვა ბარბარა ტაილორმა, — ჩემი ოცნებაა ავსტრალიის ეროვნული კულტურის ტრადიციების აღორძინებაში შევიტანო ჩემი წვლილი. კლასიკური ცეკვის შესწავლა ჩვეულებრივად ტექნიკის დაუფლებით იწყება. ტექნიკური ვარჯიში მეტად ძნელია, მოითხოვს უდიდეს მოთმინებასა და მონდომებას. გამაოცა და აღტაცებაში მომიყვანა თქვენმა ცეკვამ „ცერულმა". რა ბრწყინვალე ტექნიკაა, რა მგზნებარე ტემპერამენტი! ვოცნებობ ოდესმე მივაღწიო ასეთ ხელოვნებას!"

## გაზეთები წერდნენ...

### „ვეაკ ნოუ"

„საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობენ სტალინური პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი — დიდი გემოვნების მქონე და თავისი ხალხის ხელოვნების მოტრფიალე მსახიობები.

კონცერტის წარმატება ცეკვიდან ცეკვამდე იზრდებოდა. მაყურებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ ხალხურ ცეკვას „ხორუმს", რომელიც აღსავსეა მგზნებარე ტემპერამენტით, მოქნილობით, სიმამაცით. იშვიათად მოიძებნება სხვა რომელიმე ცეკვა, რომელიც ასე მეტყველად, თანმიმდევრულად გვიხატავდეს სამხარი იერიშის სურათს.

მაყურებლებს ვერ გადაუწყვეტიათ, რა უფრო მეტად მოეწონებათ გრაციოზულობით აღსავსე „სამაია", უსწრაფესი ტემპის „ფარიკაობა" თუ მასობრივი „სვანური".

„სამაიაში" მაყურებლები მოხიბლეს მარინე მხეიძემ, ნაირა ჟორდანიამ და ლეილა ამაღლობელმა. ბრწყინვალე ოსტატობა მასობრივ ცეკვაში „ფარიკაობა" გვიჩვენეს ანსამბლის სოლისტებმა ვლადიმერ ჟუჟარაძემ და ილიკო თაყაიშვილმა".

### „ლა რუმანი ნუველ"

მხურვალე მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა ამ საზეიმო სპექტაკლმა, რომელიც დამთავრდა ქართული ხალხური ცეკვებით, მათი შესანიშნავი „მხედრულით".

### „ფესტივალი"

„საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მხატვრულ ჯგუფში განსაკუთრებით მკაფიოდ არის წარმოდგენილი ხალხური ცეკვა. ორმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა — ქართულმა და მოლდავურმა ანსამბლებმა — ფესტივალის მონაწილეთ უჩვენეს თავიანთი ხალხების შესანიშნავი, ტემპერამენტიანი ცეკვები. ხალხური ცეკვის სოლისტთა შორის მრავალი ნიჭიერი ჭაბუკი და ქალიშვილია".



ფრანგი პატრიოტი რაიმონდა დიენი [illegible]

## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა 15 ქვეყნის თხოვნისა, რომ საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას მაროკოს მდგომარეობის საკითხი.

გამოვიდა კოლუმბიის დელეგატი, რომელიც შეუერთდა კოლონიური სახელმწიფოების — შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ დაკავებულ პოზიციას და განაცხადა, რომ იგი ხმას მისცემს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში 15 ქვეყნის თხოვნის შეტანის წინააღმდეგ.

ჩილის წარმომადგენელმა საბჭოს ყურადღება მიაქცია იმას, რომ საფრანგეთის ხელისუფალთა მოქმედების შედეგად მაროკოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას. ჩილის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს საბჭოს დღის წესრიგში 15 სახელმწიფოს თხოვნის შეტანის სასარგებლოდ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა კვლავ გაიმეორა ცნობილი მტკიცება, რომ თითქოს უშიშროების საბჭოს კომპეტენციას არ შეადგენს მაროკოს მდგომარეობის საკითხის განხილვა.

შემდეგ გამოვიდა ლიბანის წარმომადგენელი, რომელმაც 15 ქვეყნის თხოვნის დასასაბუთებლად მოიყვანა მაროკოს საქმეებში საფრანგეთის უხეში ჩარევის ახალი ფაქტები, რამაც დაძაბული მდგომარეობა შექმნა მაროკოში.

3 სექტემბერს საბჭო განაგრძობს 15 ქვეყნის თხოვნის განხილვას.

## დამთავრდა სტუდენტთა მსოფლიო კონგრესი

ვარშავა, 3 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს მუშაობა დაამთავრა სტუდენტთა III მსოფლიო კონგრესმა. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის საბჭოს ახალ შემადგენლობაში შევიდნენ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წევრი ყველა სტუდენტთა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საბოლოო სხდომაზე არჩეულ იქნა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომი. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტად არჩეულია დ. ბერლინგუერი (იტალია), ვიცე-პრეზიდენტებად — ჩინეთის, ეკვადორის, ინდოეთისა და სსრ კავშირის სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურ მდივნად არჩეულია იირჟი პელიკანი (ჩეხოსლოვაკია).

შემდეგ კონგრესმა მიიღო კონგრესის კომისიების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისადმი.

კონგრესის მონაწილეებმა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომის მოხსენების გამო ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია — „სტუდენტობის თანამედროვე მდგომარეობა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისა და სტუდენტთა ორგანიზაციების ამოცანები სტუდენტთა საჭიროებისა და მათი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში".

კონგრესი კმაყოფილებით აღნიშნავს, ნათქვამია რეზოლუციაში, რომ უკანასკნელ წლებში ხდებოდა გააქტივება სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის, სტუდენტთა ეროვნული და ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობისა სტუდენტობის საარსებო საჭიროებისა და მოთხოვნების დასაცავად, ისეთ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელთა მიზანია სტუდენტთა მეგობრობისა და ერთიანობის შემდგომი განმტკიცება.

თავიანთ სიტყვებში დელეგატებმა და მეთვალყურეებმა გამოთქვეს უკეთესი მომავლის იმედი და განაცხადეს, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები ისწრაფვიან განაგრძონ აქტიური ბრძოლა სტუდენტთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

დასასრულს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიღებულ იქნა სტუდენტთა III მსოფლიო კონგრესის მიმართვა მთელი მსოფლიოს სტუდენტებისადმი.

## „ადენაუერი უბედურებაა გერმანიისათვის"

### გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი სიტყვის სამსახურის განცხადება

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). დპა-ს სააგენტო იუწყება:

2 სექტემბერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი სიტყვის სამსახური, ახასიათებს რა კანცლერ ადენაუერს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, აღნიშნავს, რომ იგი „არის არა სრულიად გერმანიის, არამედ დასავლეთ გერმანიის მოღვაწე". გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, ნათქვამია ბეჭდვითი სიტყვის სამსახურის განცხადებაში, „იგი შეეზარდა დასავლეთს და აღარ ესმის ელბას გაღმა გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის საჭიროება". უბედურებაა ის გარემოება, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რომ გერმანიას მართავს პოლიტიკოსი, რომლის აზრითაც, ელბას გაღმა მხოლოდ კოლონიური ქვეყანაა. როცა ასპარეზზე კვლავ გამოვლენ პოლიტიკოსები, რომელნიც შეძლებენ გაიგონ მთელი გერმანიის არსი და რომელნიც შეზღუდული არ იქნებიან რაინის პროვინციის ვიწრო ჰორიზონტით, ეს იქნება გერმანელი ხალხის თვითდამკვიდრების ნიშანი.

## ჰაინემანის წინასაარჩევნო მიმართვა

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, სრულიად გერმანიის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ დოქტორმა ჰაინემანმა გამოაქვეყნა წინასაარჩევნო მიმართვა დასავლეთგერმანელი მოსახლეობისადმი. მიმართვაში კერძოდ ნათქვამია: „ადენაუერს სურს დასავლეთი გერმანია შეაიარაღოს რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის უმაღლესი სარდლობით... ჩვენი საჭირბოროტო საკითხების სამხედრო გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ომი გერმანიაში და იგი საერთო საფლავში ჩვენი გაერთიანების მომასწავებელი იქნება. კორეამ ცხადყო, რომ ომი ვერ გადაწყვეტს პოლიტიკურ საკითხებს. ჯობია ომამდე ვცადოთ ურთიერთგაგების მიღწევა, ვიდრე ომის შემდეგ".

„...დასავლეთ გერმანიის შეყვანა „ევროპის არმიაში", ხოლო ამასთანავე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთი გერმანია აღარ შეიძლება მიჩნეულ იქნას მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ. „ევროპის არმიასა" და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანა შეუძლებელს გახდის იმას, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანდნენ".

## ოტო ბუხვიცის მიმართვა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატი მუშებისადმი

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის მუშათა მოძრაობის ცნობილმა ვეტერანმა ოტო ბუხვიცმა დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატ მუშებს მიმართა მოწოდებით — გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან ერთად დაიწყონ გადამწყვეტი ბრძოლა ადენაუერის ანტიეროვნული მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ახორციელებს ომისათვის მზადებისა და გერმანიის გათიშვის პოლიტიკას, გამოვიდნენ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის საბჭოთა მთავრობის წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც შეეფერებიან გერმანელი ხალხის ინტერესებს.

ამ დღეებში, წერს ოტო ბუხვიცი თავის მიმართვაში, ბონის ფედერალური რესპუბლიკის მუშათა კლასს თვალს აპყრობს არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა, არამედ მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა.

მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები მოწმობენ საბჭოთა მთავრობის დიდსულოვან დახმარებას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის მშენებლობის საქმეში, გერმანელი ხალხის ბედნიერი მომავლის მშენებლობის საქმეში.

ოტო ბუხვიცმა მოუწოდა სოციალ-დემოკრატ მუშებს ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ გერმანიის კომუნისტური პარტიის კანდიდატებს, რომლებიც მაქს რაიმანის ხელმძღვანელობით მტკიცედ იბრძვიან ადენაუერის წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის.

## ჩეხოსლოვაკიაში გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასამზადებელი ფასები

პრაღა, 2 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ 1 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ხორბლის, ჭვავის, ქერის, რძისა და პირუტყვის დასამზადებელი ფასების მნიშვნელოვანი გადიდების შესახებ. ხორბალი, ჭვავი და საალაო ქერი, რომლებსაც სახელმწიფოს ჩააბარებენ 1 სექტემბრამდე, ახალი ფასებით განაღდდება.

რძისა და პირუტყვის გადიდებული ფასები წესდება 1 სექტემბრიდან. იმ პროდუქტებში, რომლებიც გეგმის გადამეტებით ჩაბარებული იყო 1 სექტემბრამდე, გადახდილ იქნება განსხვავება ძველ და ახალ დასამზადებელ ფასებს შორის.

ხორბლის, ჭვავის, საალაო ქერის, რძისა და პირუტყვის დასამზადებელი ფასები გადიდებულია 24-46 პროცენტით, ამასთან ძალაში რჩება დამზადებათა სამინისტროს 1953 წლის 30 მაისის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს დაწესებული გეგმის გადამეტებით გლეხთა მიერ ჩაბარებული პროდუქტების ფასის გადიდებას.

მთავრობის ეს ღონისძიება არ გამოიწვევს კვების პროდუქტების საცალო ფასების გადიდებას.

## სამხედრო ტყვეთა ამერიკის ბანაკებში

პეკინი, 4 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა კესონიდან გადმოგვცა:

კორეისა და ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლები დიდად გაოცებული იყვნენ იმ პირობებით, რომლებშიც სამხედრო ტყვეები იმყოფებიან კუნძულ კოჯედოს ბანაკებში.

ჩინეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელი ვან ძინ-ჩუნი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა კუნძულ კოჯედოდან, გვიამბობს, რომ ამერიკელი ჯარისკაცები 6-დან 25 აგვისტომდე ექვსჯერ დაესხნენ თავს სამხედრო ტყვეებს და ქიმიური გრანატები იხმარეს.

ამერიკის № 15 ბანაკის № 2 სექტორში ერთ-ერთი თავდასხმის შედეგად 10 აგვისტოს დაზარალდა 500-ზე მეტი სამხედრო ტყვე, ამასთან სამი მათგანი გარდაიცვალა. № 11 ბანაკში ამერიკელ ჯარისკაცთა თავდასხმის შედეგად 25 აგვისტოს დაზარალდა 300-ზე მეტი სამხედრო ტყვე, რომელთაგან ერთი დაბრმავდა. 9 აგვისტოს ბანაკში ყოფნის დროს სამხედრო ტყვეებზე ერთ-ერთი თავდასხმის შედეგად დაზარალდნენ კორეისა და ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლები.

ვან ძინ-ჩუნმა განაცხადა, რომ ზოგიერთი ბანაკი, რომლებიც მათ ინახულეს, ცარიელი იყო; ამერიკელებს იქიდან გაეყვანათ სამხედრო ტყვეები, რათა მიეჩქმალათ თავიანთი ბოროტმოქმედების კვალი. მაგრამ ამ ცარიელმა ბანაკებმაც კი შესაძლებლობა მისცა მათ ენახათ, თუ რა საშინელ პირობებში იმყოფებიან სამხედრო ტყვეები. № 11 ბანაკის ერთ-ერთ სექტორში, რომელიც წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა 27 აგვისტოს ნახეს, სინესტე იყო, ფიცრულები, რომლებიც სამხედრო ტყვეთა ლოგინის მაგიერობას ეწევა, მიწას დაშორებული იყო ერთ ფუტზე ნაკლებით. თითო ოთახში იყო 120 სამხედრო ტყვე, რომელთაც ვიწროობის გამო არ შეეძლოთ ნორმალური ძილი. მთელი სექტორისათვის, რომელშიც 600 სამხედრო ტყვეა, არის ერთი პირსაბანი და პუწყიანი სამზარეულო. წყლით მომარაგება რეგულარული არ არის და ამიტომ სამხედრო ტყვეები იძულებული არიან წყალი თხრილებში ამოიღონ.

## პარაშუტისტთა საერთაშორისო შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 3 სექტემბერი. (საკდესი). ოსტრავაში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება პარაშუტით ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო პარაშუტისტებმა.

საბჭოთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა სამივე სახეობის შეჯიბრებაში. სსრ კავშირის გუნდმა მოაგროვა 185,45 ქულა, ბულგარეთისამ — 126,85 ქულა, ჩეხოსლოვაკიის გუნდმა — 116,32 ქულა.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიაში

ნოიჰაუზენი, 3 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირზე დღეს გათამაშდა გადადებული პარტიები. კოტოვი თამაშის განუახლებლად დანებდა ბოლესლავსკის. სმისლოვმა ზუსტი თამაშით გაიაღდა მატერიალური უპირატესობა ეივესთან გათამაშებულ პარტიაში და გამარჯვება მოიპოვა.

შტალბერგ — გელერის პარტიაში საბჭოთა დიდოსტატმა მოახერხა პაიკის მოგება, მაგრამ შტალბერგმა ზუსტი თამაშით მიაღწია ყაიმს მუდმივი ქიშის გზით.

## სპორტის ამბები

### სსრ კავშირის XX ჩემპიონატი კალათბურთში

დღეს თბილისში საზეიმოდ გაიხსნება მიმდინარე სახსპორტო სეზონის ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო ასპარეზობა, ჩვენი ქვეყნის XX ჩემპიონატი კალათბურთში. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სტუმრად ჩამოვიდნენ სპორტსმენთა უძლიერესი კოლექტივები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ქალთა 24 და ამდენივე ვაჟთა გუნდი. კალათბურთელთა კოლექტივები გაყოფილია 6 ქვეჯგუფად. თვითეულში ჩარიცხულია 4 გუნდი. ქვეჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გამოსულ კალათბურთელთა კოლექტივებისაგან შეიქმნება ფინალური „ა" ჯგუფი, სადაც გათამაშდება 1-12 ადგილი. ქვეჯგუფებში მესამე და მეოთხე ადგილზე გამოსული გუნდები იბრძოლებენ 13-24 ადგილებისათვის.

შეჯიბრება მოეწყობა წრიული სისტემით ერთ წრედ. ის გუნდები, რომლებიც ქვეჯგუფებში ერთმანეთს შეხვდნენ და ამასთანავე მონაწილეობას იღებენ ფინალში, განმეორებით აღარ შეხვდებიან ერთმანეთს. მათ ეთვლებათ პირველი თამაშის შედეგი.

საქართველოდან პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამოს" და „ნაუკის" ვაჟთა, აგრეთვე „ნაუკის" ქალთა გუნდები. თბილისის „ნაუკის" ქალთა გუნდი ჩარიცხულია მე-6 ქვეჯგუფში. აქ თბილისელებთან ერთად არიან მინსკის „იკრა", ლენინგრადის „სპარტაკი" და კიშინიოვის „დინამო". თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი იმყოფება მე-4 ქვეჯგუფში. აქ არიან დონის როსტოვის ოფიცერთა სახლი, კიშინიოვის „ნაუკა" და ლენინგრადის ოფიცერთა სახლი. თბილისის „ნაუკის" ვაჟთა გუნდი მოხვდა მესამე ქვეჯგუფში. ამ ქვეჯგუფში გაერთიანებულები არიან კაუნასის „ჟალგირისი", ლენინგრადის „ნაუკი" და ქ. ლენინაბადის გუნდები.

შეჯიბრება გაიმართება „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე და კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედნებზე.

დღეს თბილისის „დინამო" შეხვდება ლენინგრადის სათოფქო სახლის გუნდს, თბილისის „ნაუკის" ვაჟთა და ქალთა გუნდები — ლენინგრადის „ნაუკა" და „სპარტაკს".

სსრ კავშირის XX ჩემპიონატი კალათბურთში გაგრძელდება 19 სექტემბრამდე.

### ფეხბურთი

#### „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

მოსკოვი, 4 სექტემბერი. თბილისის დინამოელთა და დედაქალაქის „ტორპედოს" შეხვედრამ „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე თავიდანვე მძაფრი ხასიათი მიიღო. თბილისელთა რამდენიმე იერიში მე-14 წუთზე გოლით დაგვირგვინდა. არ გასულა 4 წუთი და დინამოელთა მარცხენა ნახევარმცველმა გ. ანთაძემ მეორე ბურთი გაიტანა.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:0.

მეორე ტაიმში ტორპედოელები გააქტიურდნენ და 26-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. დარჩენილ წუთებში ანგარიში არ შეცვლილა. გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა 2:1.

ამრიგად, თბილისის „დინამომ" დაამთავრა XV ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები. 20 თამაშიდან გუნდმა შეაგროვა 29 ქულა. მოსკოვის „სპარტაკმა", რომელსაც დარჩენილი აქვს ორი თამაში, შეაგროვა 27 ქულა.

## ფაშიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში

დასავლეთ გერმანიაში მოგვითხრობენ ასეთ შემთხვევას, რომელიც ახასიათებს ბონის სახელმწიფოში გაბატონებულ ზნე-ჩვეულებას. ერთხელ მიუნხენის რომელიღაც დაწესებულებაში მივიდა ვინმე მოქალაქე. იგი მიესალმა დაწესებულებაში მყოფ მოხელეებს შეძახილით: „ჰაილ ჰიტლერ!" დარცხვენილმა მოხელეებმა შენიშნეს მას:

— მოწყალეო ხელმწიფევ! განა არ იცით, რომ ეს მისალმება დიდი ხანია სხვა მისალმებით შეიცვალა? ამის პასუხად მისულმა უთხრა:

— მაგრამ, ბატონებო, თქვენ ხომ არ შეუცვლიხართ სხვებით. ძველი სახეები ძველ ასოციაციას აღძრავენ!..

ასეთი ამბის წარმოშობისათვის დასავლეთ გერმანიაში ყველა საფუძველი არსებობს. ომისშემდგომი რვა წლის განმავლობაში აქ დასავლეთელ საოკუპაციო ხელისუფალთა მფარველობით შეიქმნა უაღრესად რეაქციული რეჟიმი, ცოცხლდება მთელი ჰიტლერული უწმინდურება. დასავლეთის სახელმწიფოებმა, ფეხქვეშ გათელეს რა ანტიჰიტლერული კოალიციის ისტორიული გადაწყვეტილებანი ნაციზმისა და მილიტარიზმის მოსპობის შესახებ, გაათავისუფლეს ათასობით აქტიური ნაცისტი. მაშინ როცა გერმანელი ხალხის პროგრესულ ძალებს სდევნიან და თრგუნავენ, ყველა აშკარა და შენიღბულ ჰიტლერელს გახსნილი აქვს თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის გზა. იმპერიალისტი პოლიტიკანები მათი დახმარებით იმედოვნებენ კვლავ გააბრუონ გერმანელი ხალხი და უზრუნველყონ დასავლეთ გერმანიის ჩაბმა ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკებში.

* * *

ომისშემდგომ პირველ წლებში დასავლეთი საოკუპაციო ხელისუფლები თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის გავლენით იძულებული იყვნენ დაეპატიმრებინათ და სამართალში მიეცათ „მესამე რაიხის" ბევრი მესვეური. მსოფლიო საზოგადოებრიობა უკვე მაშინ აქცევდა ყურადღებას ბევრი განაჩენის გაუმართლებელ ლმობიერებას. მაგრამ ეს განაჩენებიც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

პირველ რიგში გაათავისუფლეს ჰიტლერელი გენერლები, რომლებიც ამერიკის სამხედრო ხროვას თავის ყველაზე საიმედო მოკავშირეებად მიაჩნია განზრახულ აგრესიულ „ევროპის არმიაში". მაგალითად, პატიმრობიდან გაათავისუფლეს ჰიტლერელი ფელდმარშალი მანშტაინი, რომელსაც უკრაინასა და ყირიმში საბჭოთა მოქალაქეების ბარბაროსული მოსპობისათვის თვრამეტი წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი; ფელდმარშალი კესელრინგი, რომელსაც დახვრეტა მიესაჯა იტალიაში ჩადენილი მხეცობისათვის, ფელდმარშალი ლისტი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა ბალკანეთის ქვეყნების მოსახლეობის აწიოკებისათვის, შემდეგ უფრო წვრილი ჩინის ათობით გენერალი, რომელნიც ავაზაკური საქმეებით მათ როდი ჩამოუვარდებიან. მათ შორის არიან გენერლები მაკენზენი, გალენკამპი, ანდრე, ფალკენჰორსტი, ლანცი, ველერი, რამკე. ყველა ისინი ევროპის ხალხთა ჯალათები, პირველი ხარისხის თავზეხელაღებული ნაცისტები არიან.

გაათავისუფლეს ჰიტლერული სახელმწიფოს სხვა მესვეურებიც. მაგალითად, განთავისუფლებულია ზარბაზნის მეფე კრუპი და მისი სამხედრო კონცერნის შვიდი დირექტორი; გამოუშვეს ქიმიური ტრესტის „იგ ფარბენინდუსტრის" ყველა დირექტორი, აგრეთვე ჰიტლერის უახლოესი თანამოღვაწე მრეწველი ფრიდრიხ ფლიკი. ახლა თავისუფალი არიან აგრეთვე ისეთი ნაცისტი მოღვაწეები, როგორც ყოფილი მინისტრები დარე და შვერინ-კროზიგკი, ჰიტლერის კაბინეტის სტატს-მდივნები კეპლერი, შლეგელბერგერი და სხვები. არც ერთ მათგანს თავიანთი პატიმრობის ვადის ნახევარიც არ მოუხდია.

დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლები ათავისუფლებენ სს-ელთა ხროვას, მაგალითად, უკვე 1950 წელს გაათავისუფლეს სს-ელთა ჯარების გენერალი პრინცი ვალდეკი. მას მიჰყვნენ გესტაპოს უფროსი ომის დროს ოკუპირებულ დანიაში ჰოფმანი, ობერგრუპენფიურერი ფრანკი და ათობით სხვა სს-ელი. თავისუფალია ათობით ჰიტლერელი გაულაიტერი და მინისტრი, ამასთან ბევრ მათგანს ოფიციალური დახმარება ეძლევა ბონის ხელისუფალთაგან. მაგალითად, პენსიას იღებს გაულაიტერი ლოზე — საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა ჯალათი, ჰიტლერელი ფოსტის მინისტრი ონეზორგე. ბონელმა ხელისუფლებმა თავი ვალდებულად ჩათვალეს, რომ შემწეობა აძლიონ სს-ელი ობერბანდიტის ჰაიდრიხის ქვრივს!

განთავისუფლებულმა ნაცისტმა დამნაშავეებმა აქტიური საქმიანობა გააჩაღეს. მათთვის ბონის სახელმწიფოში ბევრი თბილი ადგილი აღმოჩნდა. ფელდმარშალი კესელრინგი სათავეში ჩაუდგა რევანშისტულ კავშირს „ფოლადის მუზარადს", გენერალი ანდრე ნეოფაშისტური „გერმანული საიმპერიო პარტიის" წამყვანი მოღვაწე გახდა, რამკე ჰიტლერის არმიის ყოფილ პარაშუტისტთა კავშირის ხელმძღვანელია. დამახასიათებელია, რომ ფელდმარშალი მანშტაინი როგორც კი გაათავისუფლეს, ბონის კანცლერ ადენაუერის აუდიენციის ღირსი გახდა, მას „კონფიდენციალური მოლაპარაკება" ჰქონდა ადენაუერთან.

ათობით განთავისუფლებული ჰიტლერელი შეუერთდა იმ ნაცისტებს, რომლებსაც დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა საერთოდ ხელიც არ ახლეს. ყველა ამ ვაჟბატონს ახლა წამყვანი პოსტი უკავია ბონის სახელმწიფო აპარატში. მაგალითად, ქვემო საქსონიის მხარის პრემიერ-მინისტრი კოპფი სამხედრო დამნაშავეა, რომლის გადაცემასაც მოითხოვს პოლონეთი. ბონის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი რობერტ ლერი დიდსტაჟიანი ნაცისტია, რომელმაც ბუნდესტაგის ტრიბუნიდან აშკარად განაცხადა „მზადა ვარ მეორედ დავეხმარო ნაციზმს სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას". იუსტიციის მინისტრი დელერი აშკარა ჰიტლერელია, რომელიც მოითხოვს ყველა სამხედრო დამნაშავის რეაბილიტაციას. ტრანსპორტის მინისტრი ზეებომი თავაღებული რევანშისტია. ნაცისტების მთელ ამ კამარილიას სათავეში უდგას ბონის კანცლერი ადენაუერი, რურელ მაგნატთა აგენტი, მუსოლინის მხურვალე თაყვანისმცემელი და პირადი მეგობარი გერინგისა, რომელთანაც ერთად იგი პრუსიის სახელმწიფო საბჭოს სხდომებში მონაწილეობდა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის დროს.

დასავლეთ გერმანიის წამყვანი ბურჟუაზიული პარტიები ახლა თავიანთ პოლიტიკაში მიჰყვებიან „მესამე რაიხის" გატკეპნილ გზას. ამ პარტიებში მთავარ პოსტებზე იგივე ნაცისტები არიან. მაგალითად, ბონის კოალიციაში შემავალი „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის" წინასაარჩევნო პროგრამის ავტორი არის სწორედ გებელსის ყბადაღებული რადიოკომენტატორი ჰანს ფრიჩე, რომელიც ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის ბრალდებულის სკამზე იჯდა.

* * *

დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობისათვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ფაშისტური ელემენტები არა მარტო აღწევენ ბონის სახელმწიფოს მთავრობისა და პარტიულ ორგანოებში, არამედ საკუთარ ორგანიზაციებსაც ქმნიან. ნაცისტთა ძალების კონსოლიდაციის ეს პროცესი სხვადასხვა გზით მიდის.

ახლა ბონის სახელმწიფოში აშკარად მოქმედებენ პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი, რომლებიც აშკარად აცხადებენ, რომ ნაციზმის მომხრენი არიან. ისინი განსაკუთრებით აქტივდებიან ახლა, როცა ბუნდესტაგის არჩევნები უნდა მოხდეს. დასავლეთ გერმანიაში მოქმედებენ აშკარა ფაშისტური ჯგუფები — „გერმანიის საიმპერიო პარტია", „გერმანული ბლოკი", „გერმანიის სახელმწიფო პარტია", „სრულიად გერმანიის ბლოკი" და ბევრი სხვა. ამ ორგანიზაციების ხასიათის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც „გერმანიის გაერთიანების" ერთი პროგრამული განცხადების მიხედვით, რომელშიც შავით თეთრზე წერია „ჰიტლერის მმართველობის სისტემის" ქება-დიდება. „გერმანული ბლოკის" მეთაური ფაშისტი მაისნერი ყოველნაირად აქებს საპყრობილეში ჩასმულ ჰიტლერელ გროს-ადმირალ დენიცს. დამახასიათებელია, რომ ყველა ამ ფაშისტურმა ჯგუფმა ამას წინათ მიუნხენში თავიანთი „საიმპერიო ყრილობა მოაწყო". მათ იქ გადაწყვიტეს შექმნან ერთიანი ნაცისტური „გერმანული გაერთიანება".

ბუნდესტაგის კანდიდატებად დასახელებული არიან ისეთი პირწავარდნილი ნაცისტები, როგორც ჰიტლერელი სტატს-მდივანი ნაუმანი, „გროს დოიჩლანდის" დივიზიის ყოფილი მეთაური გენერალი მანტოიფელი, კუნძულ კრეტის მოსახლეობის ჯალათი გენერალი ანდრე. მარტო იმ ფაქტის მიხედვით, რომ ეს პირები დასახელებული არიან პარლამენტში ასარჩევად, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად გამოცოცხლდა ნაციზმი დასავლეთ გერმანიაში!

ბონის სახელმწიფოში ლეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციებთან ერთად შექმნილია მრავალი ნაცისტური არალეგალური ჯგუფი, რომელიც ტერორისტულ, დივერსიულ და ჯაშუშურ საქმიანობას ეწევა. მათ ხელს უწყობენ დასავლეთი საოკუპაციო ხელისუფლები. შარშან შემოდგომაზე მთელ გერმანიაში გახმაურდა ეგრეთწოდებული „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ტექნიკური სამსახურის" — ერთი ასეთი არალეგალური ორგანიზაციის მხილების საქმე. ამ ორგანიზაციას ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლები ინახავდნენ და იგი ამერიკელი მოხელის ჰარეუდისაგან იღებდა მითითებებს.

ასეთი არალეგალური ორგანიზაციები დასავლეთ გერმანიაში არსებობენ შემდეგი სახელწოდებით: „გერმანიის სამამულო თავდაცვა", „სოციალურ პრობლემათა გამოკვლევის ბიურო", „გენერალ გელენის ბიურო". მარტო უკანასკნელი ბიურო, რომელიც წარმოადგენს ჯაშუშურ ცენტრს ჰიტლერელი მზვერავის გელენის ხელმძღვანელობით, ამერიკული წყაროებიდან 3,5 მილიონ დოლარამდე იღებს წელიწადში.

მთელ დასავლეთ გერმანიაში გაუბამს თავისი ქსელი არალეგალურ ორგანიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს ზემოხსენებული ნაუმანი და რომელსაც ეწოდება „გაულაიტერთა წრე". მას ფართოდ აქვს კავშირი, გაბმული ბონის ყველა პარტიასა და დაწესებულებასთან. ნაუმანი ამერიკელ ხელისუფალთა ისეთი მხარდაჭერით სარგებლობს, რომ ინგლისის ხელისუფლებმა, რომლებმაც შეთქმულება გამოააშკარავეს, სასწრაფოდ გადასცეს იგი გერმანულ ორგანოებს, ხოლო გერმანულმა ორგანოებმა ყოფილი ჰიტლერელი სტატს-მდივანი გაათავისუფლეს...

უცხოელი დაქირავებული აგენტების 17 ივნისის იმპერიალისტურმა ავანტიურამ ბერლინში ცხადყო, თუ რისთვის ამზადებენ „კადრებს" ამ არალეგალურ ფაშისტურ ცენტრებში. იმ დღეს ამერიკელ ოფიცერთა განკარგულებით ბანდიტები და კაცისმკვლელები „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირიდან", „გერმანული ბლოკიდან" და სხვა ორგანიზაციებიდან გაგზავნეს აღმოსავლეთ ბერლინის ქუჩებში შენობებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად და მკვლელობათა მოსაწყობად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციებისათვის.

* * *

დასავლეთ გერმანიაში ფაშიზმის აღორძინება დასავლეთგერმანელი მოსახლეობის შეშფოთებასა და პროტესტს იწვევს. უბრალო ადამიანები, რომელთაც კარგად ახსოვთ ჰიტლერის ბატონობის საშინელი წლები, შეშფოთებით უყურებენ იმას, რომ „მესამე რაიხის" ყოფილი მესვეურები კვლავ დგებიან მმართველობის სათავეში.

მშრომელები უკვე ხვდებიან, რომ დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალნი ხელისუფლების სათავეში აყენებენ სწორედ იმ ძალებს, რომელთაგანაც გერმანელი ხალხი განთავისუფლდა 1945 წლის მაისის დღეებში. ხშირდება შემთხვევა, როცა მშრომელები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ნაცისტ პროპაგანდისტთა მილიტარისტულ, რევანშისტულ გამოსვლებს. სულ ამ ცოტა ხნის წინათ, ამა წლის ივლისში მაინის ფრანკფურტის მშრომელებმა გარეკეს ნაცისტთა კრება, რომელზეც სიტყვას ამბობდა სამხედრო დამნაშავე გენერალი ანდრე. ფაშისტური „წესები", რომლებსაც ადენაუერის ხროვა ამყარებს, ხალხის მასების გადამწყვეტ წინააღმდეგობას აწყდება.

ზოგიერთი ბურჟუაზიული წრეც კი ვერ ფარავს თავის შეშფოთებას ნაცისტთა ძალების აქტივიზაციის გამო. შტუტგარტის ბურჟუაზიული გაზეთი „ალგემაინე ცაიტუნგი" შეშფოთებით აღნიშნავდა, რომ „რეაქცია დასავლეთ გერმანიაში ჩქარი ტემპით ძლიერდება".

ტერორისა და დევნის მიუხედავად, დასავლეთ გერმანიის მოწინავე მშრომელები, რომელთაც კომუნისტური პარტია მეთაურობს, აქტიურ ბრძოლას ეწევიან ნაცისტური ხროვისა და მის მფარველთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათ მხარს უჭერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო ჰიტლერელთა ბატონობას. გერმანელი ხალხის მოწინავე ძალების ერთობლივი ბრძოლის მიზანი ის არის, რომ გერმანია ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფო გახდეს და რომ ამ სახელმწიფოში ჰიტლერელი ნაბოლარები არ იყვნენ. ბონის ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებში გერმანიის კომუნისტური პარტია გამოდის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის, ნაცისტი ავანტიურისტებისაგან დასავლეთ გერმანიის გაწმენდისათვის მტკიცე ბრძოლის დროშით. საარჩევნო პროგრამაში ნათქვამია, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია „მოითხოვს გადაჭრით აილაგმონ ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციები და აღიკვეთოს მათი საქმიანობა". „განიდევნონ ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოებიდან ფაშისტები, აგრეთვე ყველა ისინი, ვინც რასიზმის პროპაგანდას ეწევა და სიძულვილს აღვივებს ხალხთა შორის", — აი რას მოითხოვს მუშათა კლასის პარტია.

დასავლეთ გერმანიის პროგრესული ძალების ბრძოლა ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ მძიმე პირობებში მიმდინარეობს. მაგრამ მათ მხარეზეა სიმპათია მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობისა, რომელიც გმობს ადენაუერისა და მის უცხოელ მფარველთა რეაქციულ რეჟიმს.

ლ. ბეზიმენსკი

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

### ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-10 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1953 წლის 30 აგვისტოს ქალაქ მაგნიტოგორსკში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგება მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|
| 040230 | 1—50 | 500 | 050018 | 1—50 | 200 |
| 040386 | 1—50 | 200 | 050069 | 49*) | 1.000 |
| 040470 | 47*) | 1.000 | 050076 | 28*) | 1.000 |
| 040651 | 34*) | 1.000 | 050160 | 49*) | 10.000 |
| 040877 | 02*) | 1.000 | 050240 | 15*) | 1.000 |
| 040919 | 19*) | 1.000 | 050406 | 13*) | 1.000 |
| 041025 | 1—50 | 500 | 050630 | 25*) | 1.000 |
| 041143 | 36*) | 1.000 | 050707 | 40*) | 1.000 |
| 041169 | 47*) | 1.000 | 050712 | 1—50 | 500 |
| 041263 | 29*) | 1.000 | 050774 | 47*) | 1.000 |
| 041405 | 49*) | 1.000 | 051292 | 1—50 | 200 |
| 041459 | 1—50 | 500 | 051389 | 1—50 | 200 |
| 041726 | 21*) | 10.000 | 051568 | 48*) | 1.000 |
| 041871 | 28*) | 1.000 | 051663 | 1—50 | 200 |
| 041924 | 16*) | 1.000 | 051765 | 18*) | 10.000 |
| 041943 | 18*) | 1.000 | 051799 | 42*) | 25.000 |
| 042068 | 01*) | 1.000 | 052394 | 1—50 | 200 |
| 042079 | 1—50 | 200 | 052552 | 1—50 | 200 |
| 042319 | 29*) | 1.000 | 052667 | 48*) | 5.000 |
| 042335 | 09*) | 1.000 | 052670 | 07*) | 1.000 |
| 042531 | 1—50 | 200 | 052702 | 26—50 | 200 |
| 042665 | 27*) | 1.000 | 052725 | 36*) | 1.000 |
| 042695 | 02*) | 1.000 | 052753 | 1—50 | 500 |
| 042709 | 1—50 | 200 | 052818 | 1—50 | 500 |
| 042716 | 31*) | 1.000 | 052890 | 1—50 | 200 |
| 042835 | 36*) | 1.000 | 052934 | 1—50 | 500 |
| 042987 | 23*) | 5.000 | 052955 | 35*) | 1.000 |
| 043006 | 1—50 | 500 | 053000 | 40*) | 1.000 |
| 043050 | 11*) | 1.000 | 053007 | 03*) | 1.000 |
| 043168 | 10*) | 1.000 | 053118 | 1—50 | 200 |
| 043396 | 1—50 | 200 | 053500 | 04*) | 1.000 |
| 043515 | 30*) | 1.000 | 053650 | 1—50 | 500 |
| 043583 | 11*) | 1.000 | 054022 | 30*) | 5.000 |
| 043587 | 25*) | 1.000 | 054162 | 05*) | 1.000 |
| 043602 | 1—50 | 500 | 054244 | 1—50 | 200 |
| 043742 | 22*) | 1.000 | 054327 | 1—50 | 500 |
| 043748 | 1—50 | 500 | 054396 | 26*) | 1.000 |
| 043837 | 37*) | 1.000 | 054590 | 1—50 | 500 |
| 044071 | 04*) | 1.000 | 054767 | 1—50 | 200 |
| 044223 | 06*) | 5.000 | 054788 | 1—50 | 200 |
| 044355 | 25*) | 1.000 | 054932 | 05*) | 10.000 |
| 044543 | 15*) | 50.000 | 055033 | 32*) | 1.000 |
| 044615 | 42*) | 1.000 | 055067 | 1—50 | 200 |
| 044740 | 1—50 | 200 | | | |
| 044922 | 40*) | 1.000 | 055315 | 12*) | 1.000 |
| 044994 | 34*) | 5.000 | 055430 | 29*) | 1.000 |
| 045154 | 41*) | 1.000 | 055618 | 26*) | 1.000 |
| 045534 | 1—50 | 500 | 055619 | 47*) | 1.000 |
| 045552 | 32*) | 1.000 | 055711 | 1—50 | 200 |
| 045761 | 20*) | 5.000 | 055879 | 1—50 | 200 |
| 045909 | 02*) | 1.000 | 055894 | 44*) | 1.000 |
| 046048 | 16*) | 1.000 | 056189 | 41*) | 1.000 |
| 046141 | 04*) | 1.000 | 056279 | 46*) | 1.000 |
| 046167 | 49*) | 1.000 | 056423 | 1—50 | 500 |
| 046524 | 01*) | 1.000 | 056557 | 49*) | 1.000 |
| 046697 | 33*) | 1.000 | 056585 | 1—50 | 200 |
| 047007 | 04*) | 1.000 | 056749 | 50*) | 1.000 |
| 047198 | 1—50 | 500 | 056857 | 41*) | 1.000 |
| 047426 | 25*) | 1.000 | 056883 | 39*) | 1.000 |
| 047501 | 05*) | 1.000 | 056916 | 1—50 | 200 |
| 047506 | 06*) | 1.000 | 057026 | 37*) | 1.000 |
| 047635 | 1—50 | 200 | 057247 | 45*) | 5.000 |
| 047770 | 1—50 | 200 | 057277 | 41*) | 1.000 |
| 047803 | 02*) | 1.000 | 057416 | 46*) | 1.000 |
| 047851 | 43*) | 1.000 | 057470 | 11*) | 1.000 |
| 047867 | 1—50 | 200 | 057662 | 24*) | 1.000 |
| 047959 | 1—50 | 200 | 057667 | 22*) | 1.000 |
| 047974 | 36*) | 1.000 | 057691 | 15*) | 1.000 |
| 047979 | 1—50 | 200 | 057703 | 50*) | 1.000 |
| 048019 | 43*) | 5.000 | 057734 | 12*) | 1.000 |
| 048222 | 1—50 | 200 | 057753 | 30*) | 1.000 |
| 048358 | 27*) | 1.000 | 057777 | 21*) | 1.000 |
| 048601 | 36*) | 1.000 | 057896 | 06*) | 1.000 |
| 048657 | 44*) | 1.000 | 058172 | 05*) | 1.000 |
| 048688 | 1—50 | 500 | 058189 | 23*) | 1.000 |
| 048802 | 06*) | 5.000 | 058253 | 40*) | 25.000 |
| 048894 | 10*) | 10.000 | 058340 | 1—50 | 200 |
| 048950 | 09*) | 5.000 | 058391 | 1—50 | 200 |
| 049096 | 06*) | 1.000 | 058448 | 1—50 | 200 |
| 049281 | 49*) | 1.000 | 058623 | 1—50 | 200 |
| 049337 | 49*) | 1.000 | 058950 | 40*) | 1.000 |
| 049415 | 13*) | 1.000 | 059242 | 1—50 | 500 |
| 049548 | 1—50 | 200 | 059294 | 41*) | 1.000 |
| 049561 | 1—50 | 200 | 059325 | 13*) | 1.000 |
| 049597 | 1—50 | 500 | 059487 | 35*) | 1.000 |
| 049866 | 10*) | 1.000 | 059567 | 46*) | 1.000 |
| 049885 | 47*) | 1.000 | 059733 | 1—50 | 500 |

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — მაგნიტოგორსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ქ. ი. პოლუხინი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ვ. პ. ჟიშკო.

## ი. ს. ტურგენევის გარდაცვალების 70 წლისთავის აღსანიშნავად

შაბათს, 5 სექტემბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) გაიმართება დიდი რუსი მწერლის ი. ს. ტურგენევის გარდაცვალების 70 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

მოხსენებას ი. ს. ტურგენევის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ა. გაწერელია.

საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართება კონცერტი.

შვილები ნადია, ლუბა, ვერა, სიძეები რ. აივაზიშვილი, ა. ხუროშვილი, შვილიშვილები ბიძინა, ნუნუ, მანია იუწყებიან ნინო ნიკოლოზის ასულ ნაცვლიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-IX, 7 ს. გამოსვენება 6-IX, 3 ს. „პრავდის" 1 შესახ. № 5.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების ექიმები და თანამშრომლები იუწყებიან მარიამ დავითის ასულ ელიზბარაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ბაკურციხეში (გურჯაანის რაიონი).

მეუღლე დიმიდე, ძმები ალექსანდრე, ვლადიმერ, ძმისწულები აკაკი, თამარ, თენგიზ, ზურაბ, ეთერ, ბორის, ნათელა, რძალი ნინო იუწყებიან ნინო მთიულიშვილი-ჩხიკვიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-IX, 7 ს. გამოსვენება 6-IX, 5½ ს. როსტოვის ქ. № 9.

მეუღლე ლუბა, შვილები ელენე, ვარლამ, ეთერ, ოთარ რუხაძეები ოჯახებით იუწყებიან პავლე მიხეილის-ძე რუხაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IX სოფ. დიდ ჯიხაიშში.

უე 04372 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".